თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი

№32

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

გომარ სიხარულიძის 80 წლის საიუბილეოდ

ერთი ანსამბლის შესახებ
აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი

უკრაინული ხალხური სიმღერის საქველმოქმედო კონცერტი ილიაუნიში

ერთი უცხოური ანსამბლი
ანსამბლი „ჰარირა“ კანადიდან

ეთნოგრაფიული წერილები
ნიშნობა და ქორწილი სამეგრელოში (ნაწილი I)

ერთი რეგიონული ანსამბლი
ანსამბლი „მუსიკელი“ სამეგრელოდან

ქართული სიმღერის მოამაგე
გიორგი სვანიძე

უცხოური მრავალხმიანობა
კეროს ხალხის ჰეტეროფონიული მრავალხმიანობა

ერთი ტრადიციული რიტუალი
სამგლოვიარო რიტუალი ფშავში

ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ფოლკლორი
ადიღური ხალხური მუსიკა

ერთი ახალი გამოცემა
გიორგი სვანიძე
„ქართლური სიმღერები“

ერთი სიმღერის ისტორია
ქართლური ორსართულიანი ფერხული „ზემყრელო“

თბილისი, ივნისი, 2022

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი 2022)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

28.02, 31.03, 25.05.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიამ ექვთიმე კერესელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარები ჩაატარა.

6.04-16.06.2022 - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022“-ის პირველი, შესარჩევი ტური ჩაატარა მთელი საქართველოს მასშტაბით.

3.05.2022 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიგი გარაყანიძისადმი მიძღვნილი მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

10-13.05.2022 - ტმკსც-ის სპეციალისტი, ბაია ჟუჟუნაძე სტამბოლის უნივერსიტეტში წარსდგა ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ცეკვისა და მუსიკის მე-8 სიმპოზიუმზე თემით „ბაიარ შაჰინის თურქეთში მცხოვრები ქართველების ტრადიციული მუსიკის არქივი“.

31.05.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი გაიმართა.

17-24.06.2022 - ანაკლიაში სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ გაიმართა.

24.06.2022 - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“ გაიმართა.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

14.01.2022 - რაჭის უბნის სადეგუსტაციო სივრცეში კალანდობის ტრადიციული ღონისძიება გაიმართა.

3.03.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.

16.03.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დავით ჯავრიშვილის წიგნის „ქართული ხალხური ცეკვა“ პრეზენტაცია გაიმართა.

21.03.2022 - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ღონისძიება გაიმართა.

23.03.2022 - ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისათვის შეხვედრა „საუბრები ფოლკლორზე“ გაიმართა.

5.04.2022 - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრში ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა მასტერკლასები და ლექცია ჩაატარა.

8.04.2022 - კავკასიის უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში „ლიბრარეა“ ეთერ თათარაიძის საჯარო ლექცია „დიალექტები - დედამდინარეში ჩამდინარე ნაკადულები“ ჩატარდა.

14.04.2022 - ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

16.04, 26.05.2022 - ფრანგმა ეთნომუსიკოლოგმა ზოე პერემ მეექვსე საავტორო სკოლაში ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასი ჩაატარა.

18.04.2022 - ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით ფოლკლორულ ანსამბლ „ოდოიას“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

29.04.2022 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ცეკვის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

29.04-1.05.2022 - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზე-

ბით აჭარის რეგიონში მოღვაწე ლოტბარებისა და ქორეოგრაფებისათვის ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტებმა მასტერკლასები ჩაატარეს.

13-15.05.2022 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სვანური ცეკვის მასტერკლასები ჩატარდა.

19.05.2022 - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „ბინულის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

25.05.2022 - რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტსა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

29.05.2022 - თუმანიშვილის თეატრის დარბაზში ანსამბლ „იალონის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

1-10.06.2022 - ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ფოლკ-ტურის ფარგლებში მასტერკლასები ჩაატარა.

2.06.2022 - გურჯაანში წიგნის „კახელი ლოტბარები - ლევან მუღალაშვილი“ პრეზენტაცია გაიმართა.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

6.01.2022 - ანსამბლმა „დიდგორმა“ მარტვილში საახალწლო კონცერტი გამართა.

8.01.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ქრისტეშობისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის ონლაინ კონცერტი გაიმართა.

12.01.2022 - ორბელიანის მოედანზე, „საახალწლო სოფელში“ ფოლკლორული მუსიკის კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობა თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს.

14.01.2022 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

1.03.2022 - საქართველოს პირველმა არხმა საქველმოქმედო მუსიკალური მარათონი „ჩვენ უკრაინისთვის“ გამართა..

4.03.2022 - ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში გომარ სიხარულიძის 80 წლის საიუბილეო საღამო და საოჯახო საკრავების გამოფენის პრეზენტაცია გაიმართა.

8.03.2022 - რუსთაველის თეატრის დარბაზში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა პროგრამა „ქორეონიკონი“ წარმოადგინა.

29.03.2022 - რუსთაველის თეატრში სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმა“ უკრაინისათვის საქველმოქმედო სოლო კონცერტი გამართა.

5.04.2022 - საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში ანსამბლმა „სამებამ“ ლია სალაყაიას ხსოვნის საღამო გამართა.

12.04.2022 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ილიაუნის მუსიკის ცენტრის ორგანიზებით უკრაინის მხარდასაჭერი საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

13.04.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი „იალონი“ და მეგობრები უკრაინისთვის“ გაიმართა.

8.05.2022 - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში ტრადიციული სიმღერა-გალობის კონცერტი გაიმართა.

14.05.2022-15.05.2022 - თბილისის საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „სუხიშვილების“ კონცერტები გაიმართა.

18.05.2022 - ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ალილოს“ კონცერტი გაიმართა.

20.05.2022 - გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ფეისბუქის ონლაინ პლატფორმაზე აღდგენილი ფშაური ნიმუშების ონლაინ კონცერტი გაიმართა.

22.05.2022 - თელავში ტრადიციული მუსიკის ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

27.05.2022 - ბოლნისის კულტურის სახლში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ბოლნელას“ საიუბილეო სოლო კონცერტი გაიმართა.

30.05.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „კირიალესას“ საიუბილეო სოლო კონცერტი გაიმართა.

4.06.2022-5.06.2022 - თბილისის საკონცერტო დარბაზში სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტი „ქართული ლეგენდა“ გაიმართა.

31.05.2022 - არტოს ბაღში ანსამბლ „რუსთავის“ ორგანიზებით ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

4.06.2022 - ქალაქ თელავში ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები „მზე შინა“ და „პატარა კახი“.

5.06.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გუნდ „პატრიარქის ნათლულების“ სოლო კონცერტი გაიმართა.

11,20,25.06.2022 - ფოლკლორულ ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერ-იმერმა“ არტოს ბაღში სოლო კონცერტები გამართა.

13.06.2022 - ალვანში ფოლკლორის სახლის ორგანიზებით ქართული ხალხური მრავალხმიანობისა და საეკლესიო გალობის კონცერტი გაიმართა.

13.06.2022 - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში ანსამბლ „რეხეულის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

14.06.2022 - ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „თამარისის“ კონცერტი გაიმართა.

30.06.2022-1.07.2022 - ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტები გამართა.

გასტროლები

27.02.2022- 15.03.2022 - ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთში.

25.05.2022 - ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ კონცერტი გამართა ქალაქ რომში.

4-19.06.2022 - ანსამბლი „სუხიშვილები“ საგასტროლოდ იმყოფებოდა შემდეგ ევროპის ქვეყნებში: ხორვატია, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, მოლდოვა.

10.06.2022 - ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ კონცერტი გამართა ქალაქ ათენში.

26.06.2022 - სიქსტის კაპელაში სამების საკათედრო ტაძრის გუნდის 40 მომღერალმა-მგალობელმა კონცერტი გამართა.

30.06.2022 – 3.07.2022 - ანსამბლმა „დიდგორმა“ შვეიცარიაში ფოლკლორულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

ექსპედიციები

28.05-5.06.2022 - ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი იმყოფებოდა თურქეთის ლაზეთში, კერძოდ: ხოფის, არჰავის (არქაბე), ფინფიკლის (ვიწე), არდაშენის (არტაშენი) და ჩანლიჰემშინის (ვიჯა/ვიჟა) სოფლებში.

გამოცემები

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტმა გამოსცა თამარ ჩხეიძის წიგნი „ქართული გალობის ჭრელები“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ანსამბლმა „ოდოიამ“ აუდიოალბომი გამოსცა

ანსამბლმა „იალონმა“ აუდიოალბომი
„50 ქართული სიმღერა“ გამოსცა

მოამზადა ***სოფიკო კოტრიკაძემ***

გომარ სიხარულიძის 80 წლის საიუბილეოდ

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ლოტბარი, ფოლკლორისტი, პროფესორი, მრავალი ჯილდოსა და წოდების მფლობელი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, შესანიშნავი კინომუსიკის შემქმნელი, მომღერალი და პედაგოგი გომარ სიხარულიძე წელს 80 წლის გახდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გომარ სიხარულიძის მონოგრაფიის გამოცემა განიზრახა და ეს საქმე ეთნომუსიკოლოგ მარინა კვიჟინაძეს მიანდო. თუმცა, მონოგრაფიის გამოცემამდე, ჩვენს მოვალეობად ჩავთვალეთ, ბატონი გომარის ხსოვნის პატივსაცემად და საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოკლედ ჩვენს ბიულეტენშიც დაგვეწერა...

გომარ სიხარულიძე დაიბადა 1942 წლის 4 მარტს ქალაქ ქუთაისში, მუსიკოსების ოჯახში. მამა - გიორგი სიხარულიძე, ცნობილი მომღერალი და ლოტბარი, ქუთაისის ოპერის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. დედა - მარიამ მდინარაძე, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა ქალაქში.

საოჯახო ტრადიციების შესაბამისად, გომარი ბავშვობიდანვე უკრავდა ხალხურ საკრავებზე, ასრულებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, და, მამის ხელშეწყობით, სასიმღერო კოლექტივებსაც ლოტბარობდა.

ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ გომარ სიხარულიძემ სწავლა გააგრძელა ჯერ ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლოს საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო

კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო და საკომპოზიტორო ფაკულტეტებზე.

გომარ სიხარულიძე

1961 წელს, ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, მან მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა ანსამბლი „გორდელა“, რომელსაც 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. ანზორ ერქომაიშვილი, თემურ ქევხიშვილი, ბადრი თოიძე, მიხეილ მცურავიშვილი, კუკური ჭოხონელიძე, თამაზ პავლოვი, აბიკო დანელიანი, გომარ სიხარულიძე - კონსერვატორიის სტუდენტები და ლეგენდარული „გორდელას“ წევრები იყვნენ, რომლებიც დიდი მონდომებით ეწეოდნენ ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების აღდგენის ურთულეს საქმეს. მათ აღადგინეს და სცენაზე ააჟღერეს უამრავი ხალხური სიმღერა, მათ შორის, „არხალალო“, „ყანური“, „კალოსპირული“, „კალოს ხელხვავი“, „ქალგულო“ და ხელი შეუწყვეს მათ პულარიზებას. „გორდელას“ დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქური ფოლკლკლორის ისეთი მივიწყებული ნიმუშების მოძიება-აღდგენაშიც, როგორებიცაა „სალამი ჩიტუნებო“, „ავარა ვარ, დავდივარ“, „მშვენიერო, შენ გეტრფი“, „პატარა გოგო დამეკარგა“ და სხვა.

ცალკე საუბრის თემაა ქართული საეკლესიო საგალობელი, რომელიც, ისევე, როგორც საეკლესიო გალობა, იმ პერიოდში, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. საგალობლის ხსენებაც კი გამორიცხული იყო! სცენაზე საგალობლების გამოტანა პირველად სწორედ „გორდელამ“ გაბედა და ეს ძალიან თამამი ნაბიჯი გახლდათ. „რაკი რადიო-ტელევიზიის საშუალებით ამის გამომზეურება აკრძალული იყო, პატარ-პატარა „ეშმაკობებსაც“ მივმართავდით და საგალობლებს ხან ზაქარია ფალიაშვილს მივაწერდით, ხან „საეროდ“ ვნათლავდით“ - იხსენებდა ბატონი გომარი.

„გორდელას“ მოღვაწეობამ ქართული საგალობელი არა მარტო დააბრუნა სცენაზე, არამედ, აღორძინების გზაზე დააყენა, ქართველი კაცის გულამდეც მიიტანა და მრავალი ქვეყნის მსმენელსაც გააცნო და აგრძნობინა ქართული სიმღერა-გალობის ხიბლი.

ახალგაზრდა მუსიკოსების საქმიანობას საქართველოს პატრიარქის მფარველობა შვლოდა. საქართველოში მაშინ სულ რამდენიმე საკათედრო ტაძარი ფუნქციონირებდა. თბილისში ჩამოსულ უცხოელ საპატიო სტუმრებს მცხეთაში, სვეტიცხოველში, ან „ჯვარზე“ რომ აიყვანდნენ, ქართული საგალობლების „გორდელასეულ“ შესრულებას ასმენინებდნენ.

1972 წელს აქტიური სასცენო მოღვაწეობისათვის გომარ სიხარულიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

პარალელურად, გომარ სიხარულიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: 1966-70 წლებში ასწავლიდა თბილისის პირველ სამუსიკო სასწავლებელში, 1970-1977 წლებში იყო მეხუთე სამუსიკი სკოლის დირექტორი, ხოლო 1977 წლიდან - თბილისის პიონერთა სასახლის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებში ჩაღრმავებამ ბატონ გომარს ინტერნაციონალური გუნდების შექმნის იდეა გაუჩინა. მას სურდა, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ ყოფილიყვნენ სხვადასხვა ეროვნების - ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი,

აზერბაიჯანელი ბავშვები, ესწავლათ ერთმანეთის ეროვნული სიმღერები, ზიარებოდნენ ერთმანეთის სულიერ კულტურას, რომ გაღრმავებულიყო და გაფაქიზებულიყო მათ შორის დამოკიდებულება, მეგობრობა, რაც ბავშვობიდან დაწყებული, დიდობაშიც გაგრძელდებოდა.

ანსამბლი „გორდელა“
(მარცხნიდან მეორე - გომარ სიხარულიძე)

კომპოზიტორთა კავშირისა და განათლების სამინისტროს დახმარებით იდეა რეალობად იქცა - შეიქმნა ასბავშვიანი ინტერნაციონალური გუნდი ახალციხეში, მოგვიანებით, შედარებით მცირერიცხოვანი საბავშო გუნდი - სოხუმში. გარდა ამისა, გომარ სიხარულიძე, როგორც ლოტბარი, კონსულტაციებს უწევდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საბავშვო გუნდსაც.

1984 წლიდან გომარ სიხარულიძე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის (ყოფილი ა. ს. პუშკინის) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკალური კათედრის გამგედ დანიშნეს. სწორედ ამ პერიოდში ის წერდა: „რას ვაკეთებ მე, როგორც სკოლის მუსიკის მასწავლებელთა აღმზრდელი? თითქმის მზად მაქვს სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ორწლიან ციკლში სტუდენტები დაეუფლებიან 30-40 სიმღერას, რომელიც მათ სკოლებში სწავლებისას გამოადგებათ. სახელმძღვანელოში ყველა კუთხის სიმღერები შევიტანე. შევეცადე ისეთი ნიმუშები შემერჩია, რომ ტექსტიც მარტივი ყოფილიყო, და რაც მთავარია, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი და მისაღები. დაბალ კლასებში აუცილებლად მიმაჩნია თამაშის ელემენტების შეტანა. შეიძლება პატარამ ზუსტი ინტონაციით არ იმღეროს, მაგრამ თამაშ-თამაშით, თვითონაც ვერ გაიგებს, ისე გაუღებს გულის კარს ხალხურ სიმღერას და იმას, რაც - ხმამაღლა ნათქვამად ნურავის მოეჩვენება - პატრიოტიზმი, მამულის სიყვარულია“.

არანაკლები მრავალმხრივობით გამოირჩევა კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის შემოქმედება. იგი ავტორია რიგი კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებისა, რომელთა შორისაა საფორტეპიანო ოპუსები (სონატა, ხუთი პიესა, ექსპრომტი, პრელუდია და ფუგა, კონცერტი და სხვა); კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები (რომანსები ბარიტონისა და ფორტეპიანოსათვის, მაღალი ხმისა და ფორტეპიანოსათვის და ა. შ.); საგუნდო ნაწარმოებები, ვოკალური ციკლები სოლისტებისა და ვაჟთა a capella გუნდისათვის, ასევე, ქალთა a capella გუნდისათვის; საესტრადო სიმღერები; მუსიკა სპექტაკლების, ანიმაციური ფილმებისა და მხატვრული კინოფილმებისათვის, რომელთა შორისაა „ჩარი რამა“ (1972), „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ (1985), „მევლუდი“ (1985) და სხვა.

გომარ სიხარულიძე ინტენსიურად მუშაობდა თეატრისთვისაც. საქართველოს თითქმის ყველა თეატრის - რუსთაველის, მარჯანიშვილის, მეტეხის, მოზარდ მაყურებელთა, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, თელავის - სპექტაკლებში ჟღერს მისი მუსიკა.

2004 წელს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ლოტბარი და ქართული ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე გომარ სი-

ხარულიძე ქალთა (გოგონათა) ანსამბლს აყალიბებს. ახალ ანსამბლს მან იმ სიმღერის სახელი უწოდა, რომელმაც მრავალი წლის წინ, ახალ დაარსებულ „გორდელას“ გაუთქვა სახელი - ესაა „ქალგულო“, სიმღერა, რომელსაც თავად შეუდარებლად ასრულებდა თემურ ქევხიშვილთან ერთად.

ანსამბლი დღესაც მოღვაწეობს. მის რეპერტუარშია სხვადასხვა კუთხის 70-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო საგალობელი. ამჟამად „ქალგულოს“ ბატონი გომარის ქალიშვილი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ნინო სიხარულიძე ხელმძღვანელობს.

ბატონი გომარი სიმღერასთან ერთად, არაჩვეულებრივად უკრავდა ხალხურ ინსტრუმენტებზე და სახლში მათი დიდი კოლექციაც (50-ზე მეტი ექსპონატი) ჰქონდა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ოჯახმა საჩუქრად გადასცა ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმს.

გომარ სიხარულიძე გარდაიცვალა 2020 წლის 27 იანვარს. დაკრძალულია თბილისში, მახათას მთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მარინა კვიჟინაძე
ეთნომუსიკოლოგი

ერთი ანსამბლის შესახებ

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ქართული ფოლკლორის ისეთ მოამაგეთა სახელებთან, როგორებიც იყვნენ ძუკუ ლოლუა, პლატონ ფანცულაია, კიწი გეგეჭკორი... ანსამბლის ჩამოყალიბების ოფიციალურ თარიღად 1931 წელია მიჩნეული, მაგრამ მისი წინამორბედი - *ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული გუნდი* უკვე გასული საუკუნის დასაწყისში, 1904 წელს შეიქმნა, როცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თხოვნით, ცნობილი ლოტბარი და მომღერალი, ხალხური სიმღერების შემგროვებელი, პოპულარიზატორი ძუკუ ლოლუა (1877-1925) სოხუმში გაიგზავნა საცხოვრებლად.

ძუკუ ლოლუა

აფხაზეთში გარუსების პოლიტიკის შედეგად შესუსტებული ეროვნული მუხტის გასაღვივებლად ძუკუ ლოლუას დიდი ხალხური გუნდის ჩამოყალიბება დაავალეს, რომელსაც იგი 15 წლის განმავლობაში ლოტბარობდა. სწორედ 1904 წელი ითვლება აფხაზეთში საგუნდო საქმიანობის დასაწყისად. გუნდში აფხაზები, მეგრელები, იმერლები,

გურულები, სვანები გვერდიგვერდ მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ხალხურ საკრავებზე უკრავდნენ. ამ გუნდმა პირველმა გამოიტანა სცენაზე აფხაზური აფხიარცა, აჭარპანი, აიუმაა, აფხაზური სიმღერები „აყიში“, „აზარი“, „დაჭრილის სიმღერა“, „საცეკვაო“, „ღიღინი“, „შარათინი“ და მრავალი სხვა. ძუკუ ლოლუამ სიმღერის თეატრალიზაციის ხერხს მიმართა, რაც სცენაზე ვრცელი თეატრალური კომპოზიციების წარმოდგენაში გამოიხატებოდა. ამ კომპოზიციებს აფხაზები თავისი თეატრის სათავედ მიიჩნევენ.

1930 წელს სოხუმში მუსიკალური სასწავლებელი გაიხსნა, რომლის კედლებშიც ჩამოყალიბდა ახალი ეთნოგრაფიული გუნდი კონდრატე ძიძარიასა და კონსტანტინე კოვაჩის ძალისხმევით. 1931 წელს ამ საქმეს სათავეში ძუკუ ლოლუას მოსწავლე, პლატონ ფანცულაია (1898-1938) ჩაუდგა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეთნოგრაფიული გუნდის* (შემდგომში - *აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის*) შექმნა. სასიმღერო და საცეკვაო ნიმუშების შესაკრებად პლატონ ფანცულაია თავად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლებში, გამუდმებით ზრუნავდა მომღერალთა და მოცეკვავეთა მოზიდვაზეც. გარდა სიმღერისა, პლატონ ფანცულაია ცეკვის დიდოსტატიც იყო და მუდამ მის გამშვენებაზე ფიქრობდა. იმ დროის მედია ხაზს უსვამდა გუნდისა და მისი ხელმძღვანელის მაღალ პროფესიონალიზმს, მივიწყებული სიმღერებისა და ცეკვების რესტავრაციის ბრწყინვალე უნარს.

1938 წელს, პლატონ ფანცულაიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ეთნოგრაფიული ანსამბლი ძუკუ ლოლუას მოსწავლეს, კიწი გეგეჭკორს (1886-1971) ჩააბარეს, თუმცა მისი ავთენტიკური ტრადიციების დაცვისაკენ მიმართული მკვეთრად გამოხატული ორიენტაციის გამო, აფხაზეთის საბჭოურმა მთავრობამ იმავე წელს გადააყენა თანამდებობიდან და გუნდის ხელმძღვანელობა მის მოადგილეს, მიხეილ ჭელიძეს (1900-1975) დაავალა. ძუკუ ლოლუას ნამოწაფარებისგან განსხვავებით, კონსერვატორიაში მუსიკას ნაზიარები მიხეილ ჭელიძე ნოტებით ხელმძღვანელობდა, „ამუშავებდა“ ხალხურ სიმღერებს და „ხვეწდა“ დინამიურ ნიუანსებს, რის გამოც ეთნოგრაფიული გუნდი თანდათან დაშორდა ავთენტიკურ ჟღერადობას და აკადემიურ კოლექტივს დაემსგავსა.

ძუკუ ლოლუას მიერ შექმნილი პირველი აფხაზურ-ქართული გუნდი

1940 წელს აფხაზურ-ქართული გუნდის ხელმძღვანელად ისევ კიწი გეგეჭკორი დანიშნეს, რომელმაც გუნდის შემადგენლობა 130 კაცამდე გაზარდა. სამამულო ომის დაწყებამ და საყოველთაო მობილიზაციამ გუნდის დაშლა და 34 მონაწილემდე დაყვანა გამოიწვია. კიწი გეგეჭკორი ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად და სოხუმში მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ დაბრუნდა. მან ანსამბლი კვლავ 130 კაცამდე გაზარდა. ომის შემდეგ კოლექტივს *აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის* სტატუსი მიენიჭა.

50-იანი წლებიდან აკადემიურობიდან კვლავ ავთენტიკურობისაკენ შემობრუნების ტენდენცია შეინიშნება და ძველებური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების აღდგენა აქტუალური ხდება. 1955 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელად და

მთავარ დირიჟორად დაინიშნა რაჟდენ გუმბა, დირიჟორად - ავქსენტი მიქავა, ქორეოგრაფად - იოსებ ციმაკურიძე, მის ასისტენტად - შამილ ვარდანია, საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელად კი - ბაბილინა მარღანია. 1956 წელს, რაჟდენ გუმბამ თბილისის კონსერვატორიაში გაგრძელა სწავლა და ანსამბლის ხელმძღვანელი კიწი გეგეჭკორის ნამოწაფარი, ალექსეი ჩიჩბა გახდა. ანსამბლი ამ დროს 130 წევრს ითვლიდა და რეპერტუარში დიდი ადგილი ეთმობოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერებსა და ცეკვებს, ასევე, კომპოზიტორების მიერ საგანგებოდ ამ ანსამბლისთვის დაწერილ ნიმუშებს და აფხაზური სიმღერების გადამუშავებულ ვარიანტებს *(ანტიცა, თეთრი პერანგი, სიმღერა აიბაზე, სიმღერა სოხუმზე* და სხვა).

1863 წლიდან აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი გახდა ხ. ახბა, ქორეორაფი - გივი ჩახავა, ქორმეისტერი და დირიჟორი - ვასილ ცარგუში. 1968 წელს სწორედ ამ უკანასკნელს დაევალა ანსამბლის ხელმძღვანელობა, რასაც უკავშირდება ავთენტიკურობისაკენ შემობრუნების ახალი ტალღა. „ჩვენი რეპერტუარი ინტენსიურად იზრდება ექსპედიციებში მოხუცებისაგან ჩაწერილი ძველებური ნამღერითა და არქაული ცეკვებით. ჩვენ მივისწრაფით სიმღერისა და ცეკვის შერწყმით ძველებური საწესო რიტუალების აღდგენისა და სცენაზე ჩვენებისაკენ“... - წერდა ვასილ ცარგუში.

70-იან წლებში აფხაზეთს ექსტრემიზმის ტალღამ გადაუარა და ქართულ სიმღერასა და ცეკვას წალეკვით დაემუქრა: ერთიცა და მეორეც თანდათან იდევნებოდა აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარიდან. ანსამბლის შემადგენლობაც ქართულ-აფხაზურიდან თანდათან აფხაზური ხდებოდა. აქედან დაიბადა აფხაზეთის *ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის* შექმნის იდეა, რომელიც 1977 წელს განხორციელდა და სამხატვრო ხელმძღვანელად ვეზდენ ოკუჯავა დაინიშნა. მან შექმნა მომღერალთა გუნდი, რომელსაც 10 წლის შემდეგ მოცეკვავეებიც შეუერთდნენ, 1989 წელს კი ანსამბლმა *აფხაზეთის ეთნოგრაფიული ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის* სტატუსი მიიღო. მრავალფეროვანი რეპერტუარითა და სერიოზული სამომავლო გეგმებით აპირებდა ანსამბლი მოღვაწეობის გაგრძელებას, თუმცა, აფხაზეთის ომმა არ აცალა...

აფხაზეთის ომის შემდეგ, რომელსაც ანსამბლის ორი მოცეკვავე და ერთი მომღერალი შეეწირა, ანსამბლმა თბილისში გააგრძელა მოღვაწეობა და 1993 წელს მისმა 6 კაციანმა შემადგენლობამ ერთი ცეკვით მონაწილეობა მიიღო თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ერთ-ერთ კონცერტში. თავდაპირველად თბილისში მხოლოდ მოცეკვავეთა დასი შეიკრიბა, რომელიც ყოფილ „ოფიცერთა სახლში“ ატარებდა რეპეტიციებს, თუმცა, უკვე 1998 წლისათვის, როცა მოეწყო ანსამბლის პირველი საგასტროლო ტურნე საფრანგეთში, შვეიცარიასა და პოლონეთში, კოლექტივში დაახლოებით 50 კაცი მოღვაწეობდა, როგორც მომღერლები, ისე მოცეკვავეები, ძირითადად აფხაზეთიდან დევნილები. რეპერტუარი მოიცავდა ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.

1999-დან 2021 წლამდე ანსამბლმა არაერთი ლოტბარი, ქორეგრაფი, დირიჟორი, სამხატვრო ხელმძღვანელი თუ დირექტორი გამოიცვალა. მათ შორის: ვეზდენ ოკუჯავა, ვიტალი ოკუჯავა, ზაზა კალანდია, გელა გაბიჩვაძე, ჯუმბერ ყოლბაია, გურამ ყურაშვილი, შოთა გუგუშვილი, სერგო გეგეჭკორი, ანგული ქავთარაძე, ედემ არქანია, თენგიზ სიგუა, სერგო შენგელია, ლევან ღვინჯილია, თორნიკე მანწკავა. 2021 წელს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ბაჩანა ჭანტურია გახდა.

პერიოდულად იცვლებოდა ანსამბლის შემადგენლობა, თუმცა მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სოხუმში დაიწყეს მოღვაწეობა და თბილისში 2021 წლამდე არ შეუწყვე-

ტიათ. ბოლო 20 წლის მანძილზე სხვადასხვა სიხშირით, ანსამბლმა არაერთი საგასტროლო ტურნე მოაწყო, მათ შორის: გერმანიაში (2002), პოლონეთში (2007), საფრანგეთში, იტალიაში, სლოვენიასა და საბერძნეთში (2008), შვეიცარიაში (2009), ესპანეთსა და საფრანგეთში (2012), საბერძნეთში (2013, 2014), ერაყში (2014), ჩინეთში (2015), უკრაინაში (2019).

ბაჩანა ჭანტურია

2021 წელს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელად ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავე, ქორეოგრაფი ბაჩანა ჭანტურია დაინიშნა. „სუხიშვილებში“ მიღებული გამოცდილებით, იგი ახალი იდეებით მივიდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში და მისი პროგრამა სრულიად შეცვალა. „მაქსიმალურად შევეცადეთ, განგვევითარებინა როგორც ცეკვა, ასევე სიმღერა. შევქმენით სრულიად ახალი კომპოზიციები, დავდგით ცეკვები, შეიკერა კოსტიუმები, რომლებიც მორგებულია ახალ მოძრაობებს. ჩვენი მიმდინარეობა არის სრულიად ახალი; გვაქვს სრული თავისუფლება მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ მიმართულებებში; გვყავს ბენდი, რომელიც ქმნის და ასრულებს, როგორც გათანამედროვებულ ფოლკლორულ კომპოზიციებს, ასევე ელექტრონულ მუსიკას. რაც შეეხება მოძრაობებს, დღევანდელი ჩვენი სხეულის განვითარება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევქმნათ ახლებურ მოძრაობებზე აგებული კომპოზიციები. არ ვთვლი აუცილებლად, რომ დავრჩეთ წარსულში. მიყვარს სიახლეები და არ ვუშინდები ახალ გამოწვევებს, აქედან გამომდინარე, ჩემი ცეკვებიც სრულიად ახალი მიმართულებაა ქორეოგრაფიაში“... - აცხადებს ბაჩანა ჭანტურია.

ამ შეხედულებებს ანსამბლმა ხორცი შეასხა ახალ პროგრამაში, რომელსაც „ქორეონიკონი“ დაარქვა. მასში თავმოყრილია და ქორეოგრაფიული ქრონიკების სახითაა წარმოდგენილი სხვადასხვა კუთხის, სტილისა და ჟანრის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ კომპოზიციები: „ჩანბა“, „განი და განა“, „ფანდური“, „შვანთე“, „კოო-ტო“ და „ვაჟა“, რომელთა სახელწოდებები მათი წარმომავლობის მინიშნებებს შეიცავს.

ეს პროგრამა ქორეოგრაფიული და ვოკალური ნომრების ორიგინალური სინთეზითაცაა გამორჩეული. რამდენიმე საცეკვაო ნომერს ფონად გასდევს ანსამბლის მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები. საცეკვაო კომპოზიციებს თანხლებას უკეთებს მუსიკალური ბენდი, რომელიც უკრავს, როგორც ხალხურ, ტრადიციულ საკრავებზე, ისე ელექტრონულ ინსტრუმენტებზე.

ანსამბლის საგუნდო დასს უკვე 5 წელია ხელმძღვანელობს თორნიკე მანწკავა. რეპერტუარი მოიცავს როგორც აფხაზურ, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, რომლებსაც ანსამბლი ძირითადად საარქივო ჩანაწერებიდან სწავლობს. „როცა საქმე მხოლოდ სიმღერას ეხება, შესაბამისი კუთხის კოლორიტის შენარჩუნებაზე ვართ ორიენტირებულები. როცა ცეკვასთან ერთად ვასრულებთ სიმღერებს, აქ უკვე სიახლეებს არ ვერიდებით: ვაკეთებთ პოპურებს, კოლაჟებს სხვადასხვა კუთხისა და ჟანრის სიმღერებისგან, ცეკვასთან შესაბამისად. ასევე, ვმუშაობთ ხალხური სიმღერებისა და ელექტრონული მუსიკის სინთეზზე, რის მოს-

მენასაც სულ მალე შეძლებს ჩვენი მსმენელი“ - აცხადებს თორნიკე მანწკავა.

პროექტ „ქორეონიკონის“ აფიშა

ამჟამად ანსამბლის შემადგენლობაში არიან როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები (რომელთა რიცხვი მეტად მცირეა), ისე - შემსრულებლები თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ამ ეტაპზე აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებში ყოველ პარასკევს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ, ყოფილ IX საავადმყოფოს შენობაში მართავს სოლო კონცერტებს, რომლებსაც ყოველკვირეულად 150-მდე ადამიანი ესწრება.

„ანსამბლს სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს, თუმცა, ჩემი ოცნება და მიზანია, რომ ანსამბლმა გააგრძელოს მოღვაწეობა აფხაზეთში და ჩემს აქ ყოფნაში ჩვენ უნდა ვიცეკვოთ სოხუმში“... - აცხადებს ბაჩანა ჭანტურია.

მასალა მომზადებულია **მაკა ხარძიანის** *მიერ*
წყაროებიდან: პირადი ინტერვიუები;
წიგნი: ნ. კალანდაძე, მ. კვიჟინაძე.
„ტრადიციული მუსიკა ქართულ-
აფხაზურ დიალოგში“.
თბილისი, 2011

უკრაინული ხალხური სიმღერის საქველმოქმედო კონცერტი ილიაუნიში

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში ჩვენი საზოგადოების ყველა ფენაში დიდი პროტესტი გამოიწვია და უკრაინელი და-ძმებისადმი დახმარების მოთხოვნილება წარმოშვა. ერთი ამგვარი ინიციატივა ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტურმა გუნდმაც გამოიჩინა. 2022 წლის 12 აპრილს, მისი ორგანიზებით და მასპინძლობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში უკრაინული ხალხური სიმღერის საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა. ფოლკლორულმა ანსამბლებმა კონცერტზე მხოლოდ უკრაინული ხალხური სიმღერები შეასრულეს. ხოლო ილიაუნის გუნდმა, გარდა ოთხი უკრაინული სიმღერისა, უკრაინის და საქართველოს ჰიმნები, და ასევე - ევროკავშირის ჰიმნი გადმოქართულებული ტექსტით.

პირველი ბიძგი ამ ინიციატივას მისცა ილიაუნის გუნდის მონდომებამ, შეესწავლათ უკრაინის ჰიმნი და შეესრულებინათ უკრაინის საელჩოსთან, როგორც ეს 2014 წელს გააკეთეს უკრაინაში მაშინდელი კონფლიქტის დროს. შემდეგ გაჩნდა გადაწყვეტილება, რომ შეესწავლათ რამდენიმე სხვა სიმღერაც. ერთი ასეთი სიმღერა - „ოი უ პოლი დრევო“ - გუნდის რამდენიმე წევრს ჯერ კიდევ ახსოვდა (ეს სიმღერა ასევე წლების წინ შესრულდა ერთერთ სემესტრულ საანგარიშო კონცერტზე).

ამ აქტივობების მიმდინარეობისას წარმოიშვა იდეა, რომ ჩაგვეტარებინა საქველმოქმედო კონცერტი სხვადასხვა ფოლკლორული კოლექტივების მონაწილეობით. იდეამ მალევე შეისხა ხორცი - აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ანსამბლს („იალონი“, „თუთარჩელა“, თეატრალური უნივერსიტეტის გუნდი), უკვე ჰქონდათ მომზადებული უკრაინული სიმღერები. მათ დაემატნენ მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები და ან-

სამბლი „მჭელი“ (ერთადერთი ვაჟთა ანსამბლი კონცერტზე).

კონცერტი გაიხსნა უკრაინის ჰიმნით (ილიაუნის გუნდთან ერთად წარმატებით იმღერა მეორეკლასელმა გიორგი ნატროშვილმაც).

შემდეგ „იალონმა“ (ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი) შეასრულა ორი სიმღერა: „Туман яром“ – „ნისლი ხეობაში“ (კაზაკი ქალ-ვაჟის სიყვარულის შესახებ) და „Пливе кача по Тисині“ – („მაიდანის რექვიემად“ წოდებული - დაღუპული შვილის საუბარი დედასთან).

მთაწმინდელის უნივერსიტეტის გუნდმა ერთ კომპოზიციად (პოპურად) გაერთიანებული რამდენიმე უკრაინული სიმღერა წარმოადგინა (კომპოზიციის შემდგენელი და ლოტბარი ტატიანა მეგრელიძე). პოპური მიეძღვნა დაღუპულ უკრაინელ ჯარისკაცებს - გზა ბრძოლის ველისკენ, დაჭრილი ჯარისკაცის წუხილი და გზა მარადიულობისკენ.

ილიაუნის გუნდი უკრაინულ საღამოზე

თეატრალური უნივერსიტეტის გუნდმა (ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე) შეასრულა სიმღერა „Реве та стогне Дніпр широкий“ – „ღრიალებს და კვნესის ფართე დნეპრი“, რომელიც უკრაინის ბუნებას პოეტურად აღწერს.

ანსამბლი „თუთარჩელა“ (ხელმძღვანელი თამარ ბუაძე), კონცერტზე წარდგა სიმღერით „Вилітали орли“ – „აფრინდნენ არწივები“, რომლის სიტყვები ასეთია: „ვერ დაიბრუნებ ახალგაზრდობის წლებს, სჯობდა უკეთ გამოგეყენებინა ისინი“.

ანსამბლმა „მჭელი“ (ხელმძღვანელი ქეთევან ბაიაშვილი) მოამზადა სიმღერა, რომელიც შეასრულა უკრაინიდან დევნილ მომღერალ ლილია კოროლიუკთან და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტ ლექსო მოდებაძესთან (გიტარა) ერთად - „Ой у лузі червона калина“ - „მინდორზე წითელი ძახველია“. სიმღერის ტექსტი ასეთი: „უკრაინა მოწყენილია, მაგრამ მისი საამაყო შვილები მას გაახარებენ თავიანთი გამარჯვებებით!“

ილიაუნის გუნდმა (ხელმძღვანელი თამაზ გაბისონია) კონცერტზე შეასრულა: „Ой, у полі древо“ („მინდორში ხე დგას“), რომელშიც კაზაკი გოგონა განიცდის ომში წასული შეყვარებულის ბედს; „Пливе човен“ („მოცურავს ნავი“) ასეთ სიტყვებზე: „თავს ნუ იწონებ, კაზაკო გოგონა ლამაზი სამკაულებით, მოგიწევს მათი გაყიდვა შენი შეყვარებულის ჯარში გასაგზავნად“. გუნდის ყველა ნომერში რიგით წევრად მონაწილეობდა ლატვიელი ეთნომუსიკოლოგი მაარა როზენტალე.

ამას გარდა, თბილისში უკრაინული დიასპორის ანსამბლის ხელმძღვანელმა, თამარ კოკაიამ, კვლავ ილიაუნის გუნდთან ერთად, შეასრულა სიმღერა „Вербовая дощечка“ – „ბზის ფიცარზე“ (შეყვარებული ნასტეჩკას ფიქრები ვაჟების ერთგულებაზე).

კონცერტი დასრულდა ევროკავშირის და საქართველოს ჰიმნებით.

მიუხედავად უნივერსიტეტის მაშინდელი შეზღუდული რეგლამენტისა, დარბაზი სავსე იყო მსმენელით. ოვაციები არ ცხრებოდა.

დარბაზში იდგა საქველმოქმედო ყუთი, რომელშიც კონცერტის მონაწილეთა და მსმენელთა შემოწირულობა შეგროვდა და უკრაინის წითელი ჯვრის ორგანიზაციას გადაეცა.

თამაზ გაბისონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ერთი უცხოური ანსამბლი

ანსამბლი „ჰარირა“ კანადიდან

"უხუცესის სიტყვა მისი ცხოვრების დასასრულს არის არა მისი ამბავი, არამედ მისი მემკვიდრეობა; ის საუბრობს არა არსის აღსაწერად, არამედ მნიშვნელობის სადემონსტრაციოდ. ის საუბრობს თავის წარსულზე მისი მომავლის მიზნებისათვის.”

მაია დერენი
„ღვთაებრივი მხედრები“

კანადური ანსამბლი „ჰარირა“ ორიენტირებულია ქართული და კავკასიური ტრადიციული ხალხური და საეკლესიო მუსიკის შესწავლასა და შესრულებაზე. ესაა თანამშრომლობისა და შთაბეჭდილებების ურთიერთგაზიარების ადგილი, სადაც ჯგუფის წევრებს აერთიანებთ გატაცება ტრადიციული მუსიკისა და კულტურის სილამაზითა და მრავალფეროვნებით.

როგორც ცნობილია, ვინც პირველად სტუმრობს საქართველოს ან ხვდება ქართველებს, ამას აკეთებს „სუფრის“ საშუალებით, უძველესი ტრადიციით, რომლითაც აღნიშნავს შეხვედრის სიხარულს. ეს, ფაქტობრივად, დღესასწაულია, სადაც ჩვენი სხვადასხვა ადამიანური გრძნობები ჰარმონიულად ურთიერთქმედებენ. ქართული ხალხური მუსიკის მსგავსად, სუფრა კარგად გააზრებული სოციალური კონტაქტის, საზრდოს მიღების, კოლექტიური აზროვნებისა და ჰარმონიული ურთიერთობის ადგილია. ეს შეიძლება იყოს დაუვიწყარი და იდუმალი გამოცდილება, რომელიც კვალს ტოვებს ჩვენს მეხსიერებაში კიდევ დიდი ხნით მას შემდეგ, რაც თეფშები და ჭიქები დაიცლება და თანამესუფრეები დაშორდებიან ერთმანეთს.

„ჰარირას“ დამფუძნებლები პირველად ქართულ კულტურასა და მუსიკას 1997 წელს, მუსიკალურ მასტერკლასზე ვეზიარეთ, რომლის ფარგლებშიც სამი ქართული ხალხური სიმღერა შევისწავლეთ. სიმღერები, ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული ხასიათის იყო, თუმცა, ყოველი მათგანი თითქოს ცოცხლდებოდა, როცა ერთ ხმას ფაზლივით ემატებოდა მეორე და იკვეთებოდა თითოეულის მნიშვნელობა და მათი საოცარი კავშირი, რაც ილექებოდა ჩვენს მეხსიერებაში. მოგვიანებით, ამ ხმების მოსმენისას, რომლებიც ძალიან დელიკატურად და ლამაზად ჟღერდა, ჩვენში საოცარი მოგონებები იღვიძებდა. ამას მოჰყვა ბევრი კითხვა, ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარის სიმღერების ჩანაწერების გაზიარება, რომელთა შორის იყო, როგორც სუფრული, ისე ნადური, საფერხულო და სხვა ჟანრის სიმღერები და საეკლესიო საგალობლები.

„ჰარირას“ დამფუძნებლები - მონტი და კასია სტეთემები

ქართულმა მუსიკამ და მისმა მრავალხმიანობამ გააღვიძა ჩვენში მღერის სურვილი. ამას მოჰყვა აღმოჩენების დღეები და წლები.

2003 წელს ჩვენ, მონტი სტეთემმა და კასია მალეკმა, დავაფუძნეთ ანსამბლი „ვოისა“ და ვიყავით მისი ხელმძღვანელები მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენი ჯგუფი დიდი მონდომებით სწავლობდა და ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, თანამშომლობდა და ორგანიზებას უკეთებდა შეხვედრებს ბევრ

კეთილშობილ მასწავლებელთან და შემსრულებელთან, რომლებიც სიხარულით იზიარებდნენ ჩვენს ენთუზიაზმს. ასეთები იყვნენ: კევინ ტუიტი, ალან გასერი, ფრანკ კეინი, კარლ ლინიქი და სხვები.

2007 წელს ვიმოგზაურეთ საქართველოში, კერძოდ, ზემო სვანეთში, გურიასა და სამეგრელოში, სადაც გავიცანით შესანიშნავი მომღერლები და დავუახლოვდით მათ ოჯახებს. სწორედ იქ გადავწყვიტეთ, რომ კანადაში დაბრუნებისთანავე საკუთარი ოჯახი შეგვექმნა.

2018 წელს ჩვენ შევქმენით „ჰარირა“ და მას შემდეგ ვმასპინძლობთ და ვმონაწილეობთ შეხვედრებში, ვატარებთ ვორქშოფებს და კონცერტებს ჩრდილო-ამერიკის, ევროპის, სკანდინავიისა და საქართველოს ცნობილ შემსრულებლებთან და ანსამბლებთან ერთად. მათ შორისაა ანსამბლები „დიდგორი“ და „იალონი“. ბევრი ახალი და შესანიშნავი მეგობარი შევიძინეთ ამ ხნის განმავლობაში.

როდესაც ადამიანი აღმოაჩენს თავის ადგილს საზოგადოებაში და იგრძნობს თავს მის ნაწილად, მან, შესაძლებელია, განიცადოს ღრმა და პოზიტიური ცვლილებები და პიროვნული ზრდა. ჩვენთვის ასეთია მეგობართა და ხელოვანთა საზოგადოება, რომელიც იზიარებს ქართული ხალხური სიმღერის პოტენციალს, როგორც ადამიანური კონტაქტების ოსტატურად შექმნილ კატალიზატორს; ის თითქოს იმისთვისაა განკუთვნილი, რომ დააკავშიროს ადამიანის შეგრძნებები ოჯახთან, საზოგადოებასთან, ბუნებასთან და ღმერთთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ჩვენი მომავალი პრეზენტაციების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდებს:
harira.ca და hariraensemble@gmail.com

მონტი და კასია სტეთემები

ეთნოგრაფიული წერილები

ნიშნობა და ქორწილი სამეგრელოში

(ნაწილი I)

სამეგრელოში წინათ ქალ-ვაჟის დაქორწინება მხოლოდ მშობლებს ეკითხებოდა და ვისაც მშობლები აირჩევდენ, ჯვარსაც იმაზე იწერდენ. ნიშნობამდის, პირველ ყოვლისა, უნდა გამოერკვიათ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების ვინაობა, ოჯახური და ქონებოვი მდგომარეობა და სხვა. ამისათვის ირჩევდნენ შუაკაცებს „მარებელს“, რომელსაც ევალებოდა ამ საქმის გამორკვევა. შუაკაცებიდან ერთი ქალი იყო, მეორე - კაცი. ამ ორ მარებელზე იყო დამოკიდებული საქმის მოგვარება. შუამავლები იყენებდნენ ყოველგვარ ხერებსა და საშუალებებს, რომ თავიანთი მიზნებისთვის მიეღწიათ, საქმე კეთილად დაებოლოვებინათ, რისთვისაც იღებდნენ გასამრჯელოს ფულად. შუამავლების დახმარებით ჯერ იძიებდნენ ქალ-ვაჟს შორის არ ყოფილიყო რაიმე, თუ გინდ შორეული ნათესაური კავშირი, რაც სასტიკად აკრძალული იყო. სასურველი და მიღებული იყო, ქალი სხვა სოფელში გაეთხოვებინათ. ამ წესებს მტკიცედ იცავდნენ და ვინც ამას დაარღვევდა, მას სასტიკად კიცხავდნენ და სდევნიდნენ. ამასთანავე, ოჯახში იცავდნენ დასაქორწინებელი ქალისა და ვაჟის უპირატესობას უფროს-უმცროსობის მიხედვით. ჯერ აქორწინებდნენ უფროსებს და შემდეგ - რიგის მიხედვით - უმცროსებს. ამის დარღვევა ოჯახში დიდი სირცხვილი იყო და უმცროსის დაქორწინების შემთხვევაში უფროსი ხშირად დაუქორწინებელი რჩებოდა, რადგანაც იგი სახელგატეხილად ითვლებოდა.

ძველად სამეგრელოში სცოდნიათ ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა. ამას აწყობდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ქალისა და ვაჟის მშობლებს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული ჰქონდათ და სურდათ დანათესავება. ვაჟის მშობლები ბავშვს მიიყვანდენ ქალის ოჯახში, ორივე აკვანს ერთად დგამდნენ და იტყოდნენ:

იყავით ბედნიერი ცოლ-ქმარიო და ღმერთმა ერთმანეთს მზე და მთვარესავით შეგაბეროთო. დასასრულს ბავშვის მშობლები ურთმანეთს გადაკოცნიდნენ და უსურვებდნენ ახლად დანიშნულებს გაზრდასა და ბედნიერებას. ამასთანავე, ვაჟის პატრონი ქალის აკვანზე ჩამოკიდებდა სანიშნოდ რაიმე სამკაულს და ამ დღიდან ქალი ითვლებოდა ვაჟის საცოლედ, როცა ორივე გაიზრდებოდენ და ასაკში ჩადგებოდნენ, მაშინ მათ დააქორწინებდნენ. პირობის დარღვევა და უარის თქმა არ შეიძლებოდა, ეს გამოიწვევდა ამ ორ ოჯახს შორის მტრობასა და შურისძიებას.

ეთნოგრაფი სერგი მაკალათია

სამეგრელოში წინათ გავრცელებული იყო ქალის მოტაცება. იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჟსა და მის მშობლებს ქალი მოსწონდათ, მაგრამ ქალის ოჯახი მათ იწუნებდა, ვაჟი ამხანაგების დახმარებით მას იტაცებდა და ერთი წლით სადმე გადამალავდა. მოტაცებულ ქალს საქმროზე უარი რომ არ ეთქვა და მშობლებთან არ გაქცეულიყო, ვაჟი მასთან ძალდატანებით იჭერდა სქესობრის კავშირს. ერთი წლის შემდეგ მშობლები იგებდნენ ქალის ამბავს, მაგრამ სასიძოს არ ურიგდებოდნენ. ვაჟი და მისი ოჯახი უგზავნიდა შუაკაცებს ქალის მშობლებს და სთხოვდა შერიგებას. ქალის მომტაცებელს უნდა გადაეხადა ჯარიმა: ხარი, ცხენი, ფული და სხვა, რასაც მას არჩეული კაცები მიუსჯიდნენ. თუ ქალს ამ ერთი წლის მანძილზე შვილი გაუჩნდებოდა, მაშინ მშობლები იძულებული იყვნენ, შერიგებოდნენ სასიძოს. მაგრამ, ამის შემდეგაც, მათ შორის არ იყო კარგი განწყობილება და ქალის მშობლების ოჯახი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა. საზოგადოდ, სამეგრელოში ქალის მოტაცება ვაჟისა და მისი ოჯახისთვის სასახელო და საქებარი საქმე იყო, ქალის ოჯახისათვის კი - დამამცირებელი და სამარცხვინო.

ამის გამო ქალის გატაცების დროს იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა და სისხლიც იღვრებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქალი ვაჟს ნებაყოფლობით მოატაცინებდა თავს, თუმცა ესეც მშობლების სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა და ისინი დიდხანს არ ურიგდებოდნენ სასიძოს. ძალით თუ ნებით მოტაცებულ პატარძალს ოჯახში თავი ამაყად ეჭირა და ასეთი ქალები სამეგრელოში პატივისცემითა და მოწონებით სარგებლობდნენ.

ჩვეულებრივად კი, როდესაც ქალი და ვაჟი ასაკში ჩადგებოდნენ, მშობლები ცდილობდნენ, მათთვის სასურველი მეუღლე შეერჩიათ. ამ შერჩევაში გადამწყვეტი ხმა და გავლენა ჰქონდა დედის ძმას (ბიძას) და ქალის უფროს ძმას, რომელთა დაუკითხავად და დასტურის გარეშე ქალ-ვაჟის დანიშვნა ძნელად თუ მოხერხდებოდა. ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმეში მთავარ როლს თამაშობდნენ მათი დედ-მამა, ბიძა, ძმა და შუამავლები „მარებელი“. მათი შეთანხმების შემდეგ ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა. გასინჯვა წინათ უფრო ღამე სცოდნიათ, რომ სოფელში ხალხს არ გაეგო ეს ამბავი, რადგანაც დაწუნების შემთხვევაში ქალს სახელი გაუტყდებოდა, ამიტომ ცდილობდნენ ქალის გასინჯვა მოეწყოთ საიდუმლოდ. ქალის გასასინჯად ვაჟს მიჰყვებოდნენ დედ-მამა და ბიძა. ქალს მორთავდენ

და დასვამდნენ სახლის ერთს კუთხეში, ვაჟი და მისი მხლებლები მას კარგად დაათვალიერებდნენ, შემდეგ ქალსა და ვაჟს ააყენებდნენ და გაატარებდნენ ოთახში, რომ გამოერკვიათ, თუ ჰქონდათ მათ რაიმე ფიზიკური ნაკლი. მოწონების შემთხვევაში, სუფრას გაშლიდენ და სტუმრებს გაუმასპინძლდებოდნენ და აქ წყდებოდა მათი დანიშვნის საქმეც, თუ არადა ვაჟი და მისი მხლებლები მაშინვე უკან ბრუნდებოდნენ. მოწონების შემდეგ იწყებოდა საუბარი ქალის მზითევზე და ნიშნობის დღის შერჩევაზე. მზითევის რაოდენობა დამოკიდებული იყო ქალის მშობლების შეძლებაზე და ვაჟის მოთხოვნაზე. ამ შემთხვევაში საქმეს არიგებდა შუამავალი, რომელსაც ფულადი მზითვიდან ერგებოდა ერთი მეათედი.

მეგრელი ქალი

იქვე ჩამოწერდნენ ქალის მზითვისა და ფულის რაოდენობას და დაადგენდნენ ნიშნობის დღეს.

ამის შემდეგ ვაჟი თავისი მხლებლებით სახლში ბრუნდებოდა, შუამავლები კი ხშირად დადიოდენ ორივე ოჯახში და სიტყვა-პასუხი მიჰქონდ-მოჰქონდათ. ნიშნობის დღეს ქალის ოჯახში გაიმართებოდა სადილი და ვაჟი გამოგზავნიდა ბიძისა თუ ძმის ხელით სანიშნო თეთრ ტანისამოსს და სამკაულებს: საყურეს, ბეჭდებს, სამაჯურს და სხვა., რასაც „შანას“ უწოდებდნენ. ამით შეამკობდნენ საპატარძლოს, რომელიც ამ დღიდან ითვლებოდა დანიშნულად ანუ „შანილად“. დანიშნული პატარძალი ზოგჯერ წლამდის რჩებოდა მამის სახლში, იკერავდა საქორწილო ტანისამოსს, იმზადებდა მზითევს. ქალის დანიშვნის შემდეგ პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა. თუ ქალის მშობლები პირობას დაარღვევდნენ, „შანა“ უკან უნდა დაებრუნებინათ. თუ ვაჟის ოჯახი უარს იტყოდა დანიშნულზე, ქალის მშობლები „შანას“ უკან არ უბრუნებდნენ. ამას მოჰყვებოდა ოჯახებს შორის მტრობა და ერთმანეთზე გადაკიდება.

ქალის დანიშვნის მიზნით, წინათ ვაჟის მამა ან ბიძა ქალს ცეკვის დროს ქუდს ესროდა და იგი დანიშნულად ითვლებოდა. თუ ქალის მშობლები უარს იტყოდნენ, მაშინ აჯარიმებდნენ და ეტყოდნენ: „ქუდი მოხვდა და არ მოგვყვებაო“. შემდეგ შეცდებოდნენ ქალის მოტაცებას. ამისათვის საჭირო იყო ვაჟის მხრივ გულადობა და ვაჟკაცობა, რომ ეს განზრახვა აესრულებინა, რაც ყველას არ შეეძლო. ასეთი ქალი ვერ გათხოვდებოდა, რადგანაც იგი დანიშნულად ითვლებოდა და იტყოდენ ქმარ-ნაყოლიაო.

მასალა აღებულია წიგნიდან:
სერგი მაკალათია. *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.*
თბილისი, 1941

ერთი რეგიონული ანსამბლი

ანსამბლი „მუსიკელი“ სამეგრელოდან

*რეგიონებში ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლების რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სურვილია, საკუთარ კუთხეს მოახმარონ სასწავლებელში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, შექმნან რეგიონული ანსამბლები და პოპულარიზება გაუწიონ საკუთარი კუთხის სიმღერა-საგალობლებს. ამის მშვენიერი მაგალითია სენაკის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ფოლკლორული ანსამბლი „მუსიკელი“, რომელიც ზემოთხსენებული სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, **დიმიტრი კაკულიამ** ჩამოაყალიბა. გუნდის შემოქმედებით პრინციპებსა და მიზნებზე სწორედ ის გვესაუბრება.*

ს.კ. - მოგვიყევით ანსამბლის ჩამოყალიბების შესახებ...

დ.კ. - ანსამბლი „მუსიკელი“ სულ რაღაც სამი წელია არსებობს, თუმცა ჩვენ ერთად მღერის ბევრად უფრო დიდი ხნის გამოცდილება გვაქვს. 2015 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში დაარსდა ანსამბლი „სენაკი“, რომლის ჩამოყალიბების ინიციატორი გახლდათ ჩვენი მეგობარი და შემდგომში გუნდის წევრი, ბაჩანა გაგუა. ანსამბლის შემადგენლობის უმეტესობა დღევანდელი „მუსიკელის“ წევრები ვიყავით. გუნდის მაშინდელი ხელმძღვანელი გახლდათ სალომე ბერიშვილი. ანსამბლმა „სენაკმა“ მხოლოდ სამი წელი იარსება და დაიშალა. ახალი ანსამბლის ჩამოყალიბების იდეა უკვე 2019 წელს გაჩნდა, რომლის შედეგია „მუსიკელი“. ჯგუფის წევრებად თითქმის იგივე ადამიანები დავრჩით, მხოლოდ სალომე ბერიშვილისა და ბაჩანა გაგუას გამოკლებით. რაც შეეხება ანსამბლის სახელწოდებას, მეც და ბიჭებმაც ამაზე ბევრი ვიფიქრეთ და ვიმსჯელეთ, განვიხილეთ ბევრი ვარიანტი, მათ შორის, ძველი მეგრული ტოპონიმები. თუმცა, საბოლოოდ, ჩემი ყოფილი ლექტორის, ქალბატონ მაგდა სუხიაშვილის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება ავირჩიეთ. ტერმინი „მუსიკელი“ იოანე პეტრიწის ერთ-ერთ ხელნაწერშია ნახსენები. როგორც ვარაუდობენ, ის მგალობელ-მომღერლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ყოფილა, რაც კარგად ესადაგებოდა ჩვენს ძირითად საქმიანობას - გალობასა და სიმღერას.

დიმიტრი კაკულია

ს.კ. - გაგვაცანით ანსამბლის წევრები.

დ.კ. - ანსამბლში ამჟამად შვიდი წევრი ვართ: ორი პირველი ხმა, ორი მეორე ხმა და სამიც ბანი. ანსამბლის წევრები სხვადასხვა პროფესიისანი არიან. ზოგიერთ მათგანს საოჯახო მუსიკალური ტრადიციებიც აქვს. ილია ცომაია (I ხმა) პროფესიით იურისტი და ჟურნალისტია. მიღებული აქვს დაწყებითი მუსიკალური განათლებაც. ბავშვობაში მღეროდა ფოლკლორულ გუნდში. ირაკლი კოღუა (I ხმა) გამორჩეულია საოჯახო მუსიკალური ტრადიციებით. მისი ბაბუები რემა შელეგიას გუნდში მღეროდნენ. ირაკლის დედა, დონარა მიმინოშვილი, „კოლხური ტრიოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ამჟამად მისი და, ეკა კოღუა გახლავთ ამ ტრიოს წევრი. ირაკლი ბავშვო-

ბაში ფოლკლორულ გუნდში მღეროდა. ირაკლი ლაკია (II ხმა) პროფესიით სტომატოლოგია. უკრავს გიტარაზე. ბავშვობაში მღეროდა სკოლის ფოლკლორულ გუნდში. ანსამბლში ქალაქური სიმღერების მიმართულებას ირაკლი ხელმძღვანელობს. რატი სარიას (III ხმა) დამთავრებული აქვს მუსიკალური სასწავლებელი ვოკალური განხრით. ტრადიციულ მუსიკასთან მისი ურთიერთობა ტაძარში გალობით დაიწყო. უშანგი ჩილაჩავა (III ხმა), პროფესიით იურისტია. მღეროდა სენაკის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ „ეგრისში“. მალხაზ ხუნწარიას (III ხმა) მიღებული აქვს ტექნიკური განათლება. აღსანიშნავია, რომ მისი ბაბუა რემა შელეგიას გუნდში მღეროდა. ტრადიციულ მუსიკასთან მალხაზის პირველი შეხებაც საეკლესიო გალობით დაიწყო. მე ანსამბლში ძირითადად მეორე ხმას ვასრულებ. მიღებული მაქვს ტექნიკური განათლება. მოგვიანებით დავამთავრე გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტი, პროფესიით ლოტბარი გახლავართ. მუსიკასთან ჩემი ურთიერთობა საკმაოდ გვიან, 24 წლის ასაკში, ტაძარში გალობით დაიწყო.

ს.კ. - როგორია „მუსიკელის“ რეპერტუარი?

დ.კ. - ანსამბლის რეპერტუარი ძირითადად მეგრულ სიმღერებს მოიცავს. ვასრულებთ აფხაზური სიმღერების ვარიანტებსაც. ვცდილობთ შევისწავლოთ ისეთი მეგრული სიმღერები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერ არ არის ცნობილი, ამავდროულად ამ ჩანაწერებს ჩვენეული ინტერპრეტაცია მივცეთ. რეპერტუარში გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნიმუშებიც, მაგალითად, რამდენიმე თვის წინ შევისწავლეთ იმერული მაყრულის შედარებით უცნობი ვარიანტი ანსამბლ „სანავარდოს“ რეპერტუარიდან. ვასრულებთ ქალაქურ სიმღერებსაც, თუმცა, რა თქმა უნდა, ძირითადი აქცენტი მეგრული სიმღერების შესრულებაზე გვაქვს გადატანილი.

ს.კ. - რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს და როგორია მათზე მუშაობის პროცესი?

დ.კ. - სიმღერების შესასწავლად აქტიურად მივმართავთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებგვერდზე ატვირთულ ჩანაწერებს. ვიყენებთ გამოქვეყნებულ სანოტო მასალასაც. ანსამბლში ახალი რეპერტუარის შესწავლის ინიციატორი ძირითადად მე გახლავართ. სიმღერების ვარიანტებსაც უმეტესად თავად ვარჩევ, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ანსამბლის წევრების მხრიდანაც არის მსგავსი შემოთავაზებები. თავდაპირველად ჩანაწერს ვუგზავნი ანსამბლის წევრებს. იშვითად ხდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩანაწერის გარჩევა რთულია. ამ შემთხვევაში მე ვეხმარები ანსამბლის წევრებს და ჩანაწერის ჩემეულ ინტერპრეტაციას ვთავაზობ. რეპეტიციის პროცესში ერთადაც ვუსმენთ შესასწავლ სიმღერას. ხშირად რეპერტუარზე მუშაობის პროცესი ჯანსაღ კამათშიც გადაიზრდება ხოლმე. საერთო ჯამში, სიმღერის შესწავლის პროცესში ყველა მონაწილეობს. მათ შორის, ანსამბლის ზოგიერთი წევრი თავისებურ ვარიანტებსაც გვთავაზობს.

ს.კ. - რას გვეტყვით ანსამბლის საშემსრულებლო მანერაზე?

დ.კ. - საშემსრულებლო მანერის კუთხით თავისუფლები ვართ, თუმცა, მაინც ვცდილობთ, გარკვეულ საზღვრებს არ გავცდეთ. ამაში ძველი ჩანაწერების რეგულარულად მოსმენის შედეგად დაგროვილი გვეხმარება. ვფიქრობ, ეს ზღვარი საშემსრულებლო მანერის პრინციპებზე გადის. მეგრულ სიმღერებს ახასიათებს ლირიზმი, სილაღე. მთავარია არ გადაამეტო და სხვა, მეზობელი კუთხის მანერაში არ გადაიჭრა. ვთვლი, რომ ჩვენს ანსამბლს საკუთარი, ორიგინალური საშემსრულებლო სტილი ჯერ არ გააჩნია. ეს ზოგიერთ იმ ანსამბლსაც კი არ აქვს, რომლებიც უკვე წლებია მოღვაწეობენ. ამის მიღწევას, რა თქმა უნდა, დიდი დრო სჭირდება.

თუმცა ის, რომ თითოეული ჩვენგანი მეგრელია, ბუნებრივია, გვიადვილებს მეგრული სიმღერების სიღრმისეულ აღქმასა და მათი საშესრულებლო მანერის მორგებას.

ანსამბლი „მუსიკელი“

ს.კ. - რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა „მუსიკელი“?

დ.კ. - ანსამბლის ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვეში, დედაქალაქში, კერძოდ სიმღერისა და საკრავების მუზეუმში პირველი კონცერტი გავმართეთ ფოლკლორულ ანსამბლ „ოდაბადესთან“ ერთად. აქტიურად ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებებში. რამდენიმე კონცერტი გავმართეთ სენაკში, მათ შორის გამოვარჩევდი ფოლკლორულ ანსამბლ „იალონთან“ ერთად ჩატარებულ საღამოს. გასული წლის ზაფხულში მონაწილეობა მივიღეთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით გამართულ ფესტივალში „ხალხური საღამოები“. ამ ფესტივალის ფარგლებში გავმართეთ ორი კონცერტი ანსამბლ „ამაღლებასთან“ ერთად ჩოხატაურსა და სენაკში.

2021 წლის ნოემბრის თვეში მიწვეული ვიყავით ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე. მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაშიც, მათ შორის გამოვარჩევდი აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ეთნოფორს“. სულ რამდენიმე თვის წინ მონაწილეობა მივიღეთ ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველ ტურში. ვიმედოვნებთ, მეორე ტურშიც წარვდგებით მსმენელის წინაშე.

ს.კ. - როგორია „მუსიკელის“ გეგმები?

დ.კ. - ანსამბლს არსებობის სამი წლის განმავლობაში ჯერ სოლო კონცერტი არ გაუმართავს. ვფიქრობთ, მომავალ წელს უკვე სოლო კონცერტით წარვსდგებით სენაკელი მსმენელის წინაშე. გვქონდა მოწვევა ლიეტუვადან და ესტონეთიდან, თუმცა, მსოფლიოში მიმდინარე ცნობილმა მოვლენებმა ხელი შეგვიშალა ამ გასტროლების მოწყობაში. პირადად მე, ყოველთვის ვცდილობ, კონტაქტი მქონდეს ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და დავაინტერესო ისინი ქართული ტრადიციული მუსიკით. ვიმედოვნებთ, მალე მოგვეცემა უცხოეთში მოგზაურობისა და ჩვენი შემოქმედების პოპულარიზების შესაძლებლობა. რაც შეეხება აუდიოალბომს, ეს უფრო შორეულ პერსპექტივად მესახება. ჩვენი დიდი სურვილია, რომ რეპერტუარი მაქსიმალურად შევავსოთ მეგრული სიმღერების შედარებით უცნობი და მივიწყებული ვარიანტებით, რის შემდეგაც უკვე ვიფიქრებთ მათი საზოგადოებისათვის წარდგენაზე.

ინტერვიუ ჩაიწერა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა,
სოფიკო კოტრიკაძემ

ქართული სიმღერის მოამაგე

გიორგი სვანიძე
(1892-1965)

კომპოზიტორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ექიმი, ინჟინერი, ქართული (ქართლური) სიმღერების შემკრები, ქართული საბავშვო ოპერის ფუძემდებელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი და ხალხური შემოქმედების სახლის (ახლანდელი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის) მუსიკალური სექციის მდივანი, გიორგი სვანიძე დაიბადა სოფელ საქაშეთში, ქალაქ გორის მახლობლად, 1892 წელს. დედა - ნატალია ციმაკურიძე - მშვენივრად მღეროდა; მამა - დიაკვანი დიონისე - სიმღერა-გალობის კარგი მცოდნე ყოფილა. როგორც სხვადასხვა დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, გიორგისაც ჩინებულად შეუსწავლია ქართული სიმღერა-გალობა, იმდენად, რომ ტოლ-ამხანაგებისაგან მომღერალთა გუნდიც კი შეუდგენია. თბილისში, გიმნაზიაში სწავლისასაც შეუქმნია ოცწევრიანი გუნდი სემინარიისა და გიმნაზიის მოსწავლეებისაგან. ეს გუნდი რამდენიმე წლის განმავლობაში მუსიკალურად აფორმებდა თბილისის ქართული თეატრის სპექტაკლებს. 1910 წლიდან გიორგი სვანიძე ქაშუეთის ეკლესიის მგალობელ-რეგენტიც ყოფილა. შემდეგ იყო ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული გუნდის ლოტბარობა და 1915 წელს წარმატებული კონცერტი ზუბალაშვილების სახლში. აქედან მოყოლებული, უკვე სახელმოხვეჭილი მუსიკოსი სხვადასხვა წლებში ბავშვთა თუ მოზრდილთა არაერთ გუნდს ხელმძღვანელობდა თბილისის სხვადასხვა სკოლასა თუ კულტურის სახლში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ადგილობრივ მცხოვრებთაგან აყალიბებდა გუნდებს გორში, ახალქალაქში, ქარელში, სურამში, ცხინვალში, მართავდა კონცერტებს, ატარებდა ლექციებს... მის სალოტბარო მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელად ის 1937 წლის აგვისტოში დანიშნეს. იმავე წელს ანსამბლის წარმატებული გამოსვლა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სპეციალური ჯილდოთი აღინიშნა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ დროებით შეწყვიტა ანსამბლის მოღვაწეობა. ომის დამთავრების შემდეგ ანსამბლს კვლავ გიორგი სვანიძე ჩაუდგა სათავეში.

გიორგი სვანიძე

გიორგი სვანიძემ კლასიკური მუსიკალური განათლება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო (1918-1921 წწ. თეორიტიკოს-კომპოზიტორი, ვალტორნისტი). მუსიკალურ საზოგადოებაში ის ცნობილია, როგორც კომპოზიტორი, რომელმაც მრავალი საგუნდო ნაწარმოები შექმნა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ის ქართული საბავშვო ოპერის ფუძემდებელია და ეს ფაქტი მუსიკოლოგიაში ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ აღიარებულა. 1920 წლის იანვარში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგა მცირე საბავშვო მუსიკალური პიესა „გუგული და მამალი“, 1921 წლის ივლისში კი - მისივე საბავშვო ოპერა „ოქროს თავთავი“, შიო მღვიმელის ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით. ოპერა დაიდგა საგანგებოდ შექმნილი სამოსითა და დეკორაციებით, თბილისის

თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მოსწავლეთა ძალებით. ფორტეპიანოს აკომპანემენტს თავად გიორგი სვანიძე ასრულებდა. წარმატებული პრემიერის შემდეგ კომპოზიტორმა საორკესტრო პარტიტურაც შექმნა. „ოქროს თავთავი“, გარდა ოპერის თეატრისა, დაიდგა თბილისის სხვადასხვა თეატრის სცენაზეც, აგრეთვე - გორში, ცხინვალში, წაღვერში... ოპერის ხალხურ მუსიკალურ-ლექსიკურ მასალაზე დაფუძნებულ სამუსიკო ენას ავტორს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უთვლიდნენ თანამედროვენი - სადა, მშობლიური მელოდიები მსმენელს ადვილად ამახსოვრდებოდა და სიამოვნებით ღიღინებდა. ვფიქრობთ, გიორგი სვანიძეს, როგორც საბავშვო ოპერის ფუძემდებელს, ღირსეული ადგილი უნდა მიეჩინოს ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში.

გიორგი სვანიძემ, ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის და სათანადო გამოცდილების დაგროვების შემდეგ, სახელმძღვანელოებიც შექმნა. 1923 წელს გამოსცა მუსიკის თეორიის სახელმძღვანელო, 1931 წელს - ნოტების ანბანი. თვალსაჩინოებისთვის ამ სახელმძღვანელოებში მან ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ია კარგარეთელის და თავისი ჩაწერილი, ბავშვებისათვის ადვილად გასაგები და ნაცნობი, ხალხური მელოდიები გამოიყენა.

გიორგი სვანიძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ბევრგან დატოვა კვალი - „საქმე სიტყვიანი, სიტყვა საქმიანი“. განსაკუთრებით ფასდაუდებელია ხალხური შემოქმედების ამ დიდი მოამაგის დამსახურება ქართლური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების მოძიება-დაფიქსირების მხრივ. როგორც მუსიკოსის ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, მას ზაქარია ფალიაშვილმა უბიძგა, ხელი მოეკიდა ხალხური ნიმუშების შეკრება-დაფიქსირებისათვის. 1916 წლიდან, 40 წელზე მეტი, გიორგი სვანიძე მოგზაურობდა ქართლსა და კახეთში, კრებდა უნიკალურ ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებს, რომელთა ნაწილი მოგვიანებით კიდეც გამოსცა. 1951 წელს დავით კასრაძე წერდა: „ქართული ხალხური მუსიკის მოამაგეთა საქმე განაგრძო გიორგი სვანიძემ, მან არაერთგზის შემოიარა ქართლ-კახეთის მიდამოები, ჩაიწერა მრავალი სიმღერა, მაგრამ იგი როდი კმაყოფილდებოდა ხალხური სიმღერების უბრალო ფიქსაციით. ის კვლევით მუშაობასაც აწარმოებდა. კომპოზიტორს დაწვრილებით აღუწერია, სად, რა პირობებში და როგორ მიაგნო ამა თუ იმ სიმღერას. მას მომღერალთა შორისვე გამოუკითხავს თითოეული სიმღერის „ბიოგრაფია“, მასთან დაკავშირებული თქმულება, შეუსწავლია მისი წარმოშობის საკითხი, სადაურობა. კითხულობ ამ ჩანაწერებს და სოფლური ყოფის სურათი თვალწინ გეშლება“...

1957 წელს გამოცემულმა წიგნმა „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“ იმ დროს დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ დარღვეული იყო თანაფარდობა ზეპირსიტყვიერ და სამუსიკო ნიმუშებს შორის. ფოლკლორის ცენტრის 2021 წლის გამოცემა სახელწოდებით „ქართლური სიმღერები“ ამ „ნაკლის“ შევსებას ემსახურება, ძირითადად, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საარქივო მასალებით - სანოტო ჩანაწერებით, ფოტოსურათებით, სრულყოფილი ავტობიოგრაფიით; მიმოწერითა და სხვადასხვა პუბლიკაციებით.

„თქმულებანის“ (1957) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული ეგზემპლარისთვის ავტორს მიუწერია: „Verba Volant, Scribta Manent“ („სიტყვები დაფრინავს, ნაწერი კი რჩება“). მართლაც, ასე დარჩა გიორგი სვანიძის შეკრებილი უამრავი თქმულება, ასამდე ქართული ხალხური სიმღერა და მათი ვარიანტი ქართულ კულტურასა და ქართველ ერს.

თეა კასაბური, ნანა ვალიშვილი

კრებულის შემდგენლები

უცხოური მრავალხმიანობა

კეროს ხალხის ჰეტეროფონიული მრავალხმიანობა

კეროს ხალხი სამხრეთ ამერიკაში, პერუში ცხოვრობს, ლეგენდარულ არქიტექტურულ ანსამბლ კუსკოსთან ახლოს. არის მოსაზრება, რომ ისინი ინკების გადარჩენილი მემკვიდრეები არიან. კეროელები კეჩუას ხალხს ეკუთვნიან და ეთნომუსიკოლოგებს შორის ცნობილნი არიან იმით, რომ სხვა სამხრეთამერიკელ ინდიელებზე უფრო ერთგულად ინახავენ თავიანთ მუსიკალურ ტრადიციებს.

კეროელები განსაკუთრებულ მუსიკალურ აქტივობას იჩენენ ცხოველთა ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებსა და კარნავალებზე (სიმღერები „პუკლაი ტაკი“). შინაურ ცხოველთა ყოველ სახეობას აქვს საკუთარი დღესასწაული, რიტუალი და სიმღერა. საკარნავალო სიმღერებში ასევე აქტუალურია ფრინველების, ცხოველების და სამკურნალო მცენარეების თემატიკა.

ნაყოფიერების რიტუალებში კეროელები მიმართავენ მთის სულებს „აპუ“ და დედამიწის სულებს „პაჩა მამა“, რათა წარმატებით აღიდგინონ სასიცოცხლო ძალები ჯანმრთელი საზოგადოებრივი და კოსმოლოგიური ურთიერთობებისათვის. კეროს ხალხისათვის მნიშვნელოვანია ბალანსი პოლარულად განსხვავებულ სასიცოცხლო ძალთა შორის, რომელსაც „იანანტინს“ ეძახიან და რომელიც ერთგვარად ჩინური „ინისა და იანის“ ფილოსოფიური სისტემის მსგავსია.

რიტუალური სიმღერები კეროელებისათვის ღვთაებებისადმი შესაწირის, ძღვნის ტოლფასია, ხოლო სიმღერისას გამომჟღავნებული სამგლოვიარო მოტივები მწუხარების სხვებისადმი გაზიარებას და ამით საზოგადოებრივი ძალისხმევით მათ განეიტრალებას ემსახურება. სამაგიეროდ მხიარული მოტივები ხშირდება საკარნავალო სიმღერებში.

კეროს ხალხი

რიტუალური სიმღერები ერთგვარი „დაცალკევებული“ ფრაზებით იმღერება დღესასწაულ „პალჩასკაზე“. სიმღერის დროს დაშვებულია, მომღერლებმა ინდივიდუალურად გამოხატონ საკუთარი ლირიკული გრძნობები, განსაკუთრებით - ჩივილის ამსახველი, რის შესაბამისად ვიღებთ მრავალხმიან, ჰეტეროფონიულ ფაქტურას.

საინტერესო ისაა, რომ კეროელები სიმღერისას არ ამჟღავნებენ აკორდის, ჰარმონიული ვერტიკალის შეგრძნებას. მათი მრავალხმიანობა მსგავსი ფრაზების დროით დაშორებული შეთანხმებაა, რომელიც ბოლოს ხანგრძლივად გაგრძელებულ უნისონში მოდის, რასაც კეროელები ეძახიან „აისარიიკუი“ („გაწელვა“). სიმღერები ხშირად სრულდება იგივე ძირითად ბგერაზე ბურდონის თანხლებითაც. ასეთ სიმღერებს ეძახიან „ტაკის“. გაგრძელებული ბგერა ასევე ღვთაებებისგან დადებითი პასუხის მოლოდინითაცაა გამოწვეული. ბურდონს ჩასაბერი საკრავიც ასრულებს ხოლმე, რომლის ბგერაც შეიძლება არ დაემთხვეს სიმღერის ძირითად ტონს.

ამგვარი შესრულების უნარს ეთნომუსიკოლოგი კოენი ხსნის იმით, რომ კეროს ხალხს შეუძლია თითოეული ხმის პარტია აღიქვას გამორჩეული დამოუკიდებლობით, განსაკუთრებით - ამა თუ იმ ფრაზის დროში სხვადასხვაგვარად (დაწყება-დამთავრების მხრივ) გამოხატვით. თუმცა ფრაზის ბოლოს ყველა

უნისონში მოდის. უნისონის ხაგრძლივობა სწორედ იმიტომაა საჭირო, რომ ყველამ თავი მოიყაროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი „დაშრევებული“ ფრაზებით მღერიან როგორც ქალები, ასევე - მამაკაცებიც. ზოგჯერ მსგავსი ჟღერადობა მიიღწევა ჩასაბერი ინსტრუმენტების მეშვეობითაც. ზოგიერთი ჟანრის სიმღერებს კეროს ხალხი სრულიად გამართულ უნისონში მღერის.

მსგავს მუსიცირებას კეროელები მიმართავენ კარნავალის ზოგიერთი ქმედებისას, როცა ქალთა რამდენიმე ჯგუფი ასრულებს თავ-თავიანთ, განსხვავებულ სიმღერებს ერთ სივრცეში. ამ პროცესში ერთ ჯგუფის წევრები მეორესას ყურადღებას არ აქცევენ. კაცები კი უკრავენ სალამურებზე „პინკუილუ“ და „კანჩის სიპას“. არცერთი სალამური პინკუილუ არ ეწყობა ერთმანეთს, რადგან სალამურის კეთებისას არ ზრუნავენ საერთო წყობაზე. ეს ფაქტორიც კეროელების „განცალკევებულად მღერის“ ერთ-ერთი მაგალითია.

ჩვენთვის ცნობილია ერთგვარი კანონური იმიტაციის მრავალხმიანობის კერები, როგორიცაა აინუების ტრადიციები და ლიტველების სუტარტინესი. მაგრამ აქ, კეროელებთან ასეთი „ჰორიზონტალური“ მრავალხმიანობა ერთი შეხედვით მეტი სპონტანურობით, სინამდვილეში კი კარგად გააზრებული ფუნქციონალობით გამოირჩევა.

თამაზ გაბისონია
ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ერთი ტრადიციული რიტუალი

სამგლოვიარო რიტუალი ფშავში

„სიკვდილსა გლოვა უხდება ,
მკვდარ ძმას - ტირილი დისაო...“
ვაჟა-ფშაველა

ფშავში ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა მიცვალებულის პატივსცემას და დაფასებას. ძველი ფშავლების რწმენით, მიცვალებულთა სულებს ცოცხალთათვის - „სამზეოში“ დარჩენილთათვის - სარგებლობის და ზიანის მოტანა შეეძლოთ, იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათთან სიცოცხლეში. აქედან მომდინარეობს არაერთი რიტუალი, რომელიც ყოფაში დღემდეა შემორჩენილი: ხმით ტირილი, დოღის გამართვა, „სულის წყაროს“ აშენება, მოსაგონარი ლექსების შექმნა. მათ შორის, მიცვალებულის პატივისცემის ყველაზე დიდი ნიშანი იყო და დღემდე რჩება *ხმით დატირების ტრადიცია.* ყოველი ფშაური დატირება ინდივიდუალურია ყველა მიცვალებულზე, ექსპრომტად სრულდება, სრულ იმპროვიზაციას წარმოადგენს და მისი გამეორება შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ ტირილში ფშაველი ქალი თავისუფალია პოეზიაშიც და მუსიკაშიც. ეს არის ერთგვარი ასპარეზი, სადაც ის ავლენს თავის მხატვრულ ნიჭსა და შემოქმედებით უნარებს და სამუდამო შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე.

კარგ მოტირალზე ფშავში იტყვიან „ქვასაც კი აატირებსო“. კარგი ვაჟკაცის დატირება ქალისთვის სავალდებულო, სასახელო და წმინდა მოვალეობაა. ამას ადასტურებს ვაჟა-ფშაველას სიტყვებიც: „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. უცნაურია, მაგრამ აღმოსავლეთის მთის კუთხეებში და, მათ შორის, ფშავშიც, ქმრის ტირილი სირცხვილი იყო. ამიტომ, ცოლი თავს იკავებდა, გულში ინახავდა დარდს. თუმცა, სასახელო იყო ძმის ტირილი, რომელსაც ფშაველი ქალი თავის მოჭრილ თმასაც ატანდა საფლავში.

ტირილის ტრადიცია, ამავე დროს, ქალთა პოეტურ-მუსიკალური ნიჭის ერთგვარი შეჯიბრებაც იყო. მოტირლები ერთმანეთის შენაცვლებით ტიროდნენ, თითქოს კარგად დატირებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ - ვინ უფრო გულში ჩამწვდომ, დახვეწილ სიტყვას მოიგონებდა.

ფშავში დატირების რიტუალი ასეთი იყო: ხმით მოტირალი აიღებდა მიცვალებულის რაიმე ნივთს (ხმალს ან ხანჯალს, თუ მამაკაცი იყო) და მუხლის ჩოქზე დამდგარი ან ფეხზე მდგარი ირგვლივ უვლიდა მიცვალებულს და იწყებდა მოთქმას. ის პირდაპირი და მოურიდებელი იყო მიცვალებულის მიმართაც კი, ამ უკანასკნელის ცხოვრების ავ-კარგში დაუფარავად ახედებს ხალხს. იგი მიმართავდა ყველას და ახსენებდა ყველაფერს, რაც მიცვალებულთან იყო დაკავშირებული.

ფშაური ტირილი დინამიური შესრულებით ხასიათდება. მოტირალი თანდათან „ეშხში შედის“, ეხსნება ფანტაზიის უნარი, უმატებს ხმას, აძლიერებს საკუთარი ტემბრის გამომსახველობას, რაც ბუნებრივად იწვევს ემოციების მოზღვავებას, როგორც თავად მოტირალში, ისე - ჭირისუფალშიც, აიყოლიებს გვერდზე მყოფ მოტირლებს, რომლებიც ფრაზების ბოლოს ქვითინით ჩაურთავენ - ოჰო-ჰო-ჰოო!

ფშაური ხმით ნატირალი მეტრულად მტკიცედ განსაზღვრულია და შეადგენს ცხრამარცვლიან ურითმო ლექსს. მაგალითად:

„დავბერდი ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
აბა, გაიხედნეთ ჩემ ნავალსა,
ცრემლით არიან დასეტყვილნი“...

მოტირალნი ერთმანეთს ენაცვლებიან. თითოეული მათგანი ქმნის ახალ, ორიგინალურ ტექსტს. „ეს სამგლოვიარო რიტუალი თეატრს გავდა, ისეთი ხმით ტიროდნენ, შეგრძნება მქონდა, რომ თვითონ სიმღერა ტიროდა, ამოთქმულ სიტყვებს ჩამოსდიოდა ცრემლი, მიყვარდა ბალღობაში ამის ცქერა და მოსმენა, ვიმახსოვრებდი და მერე ჩემთვის ვიმეორებდი“ - იხსენებს ეთნოფორი თინა ნაყეური.

ხშირია მეტაფორული სახეები ტირილების ტექსტებში, რაც ექსპრესიულობას და მხატვრულობას სძენს ლექსს და მსმენელს თვალწინ უშლის სიკვდილის ტრაგიზმს.

„სიკვდილო შვილი გაგიზარდე,
მე სხვა დედებს კი არა ვგევარ,
ძალიან დაღონებული ვარ,
სისხლის და ცრემლის ტბორში ვდგევარ,
აქამდე ბედნიერი ვიყავ,
ახლა კი მწუხარების მზე ვარ“...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფშაველი შრომის დროსაც თავის მიცვალებულებს ესაუბრება, თან თიბავს და თან გულს აყოლებს, ამიტომაც ფშაურ მუსიკალურ ფოლკლორში ხშირია ხმით ნატირლების მთიბლურ სიმღერებში ჩართვის ფაქტები. ფშავში ამ სიმღერებს „გვრინს“ ეძახიან. ქალის გვრინს „ზუზუნი“ ეწოდება. საყურადღებოა, რომ მსგავსი დანიშნულება ჰქონდა მთიან რაჭაში თიბვის დროს შესასრულებულ სიმღერა „ღუღუნს“და ქალების მიერ მკის დროს ნამღერ - „ქორქალს“. ამ სიმღერების დანიშნულება მიცვალებულთა სულების კეთილგანწყობის მოპოვება, შრომითი ტვირთის შემსუბუქება და სევდის გაქარვება იყო.

ფშავში მთავარ მოტირლად დედა ითვლება. ყველაზე გულის დამწველი მისი ტირილია. „მოტირალ დედას ბუნება ბანს ეუბნებაო“ - ამბობენ ფშავლები.

„შაყრილან შავნი ღრუბელნი
გადმოდგენ მუქუს თავსაო,
დედა დაიწყებს ტირილსა,
მთანი მისცემენ ბანსაო...
მუარდა ცრემლის ავდარი
მიწა წაეღო წყალსაო“...

ფშაური ხმით ტირილის ტექსტებში ხშირია უკვე მომხდარი ფაქტის, ნანახისა და განცდილის მომავალ დროში წარმოსახვა. მაგალითად:

„ნეტაი მოკლა მარჯეკალი
ჩემი ხოშარას გამთხუები,
მე ხო ხოშარას ვერ ვიქნები
ბრაწით ვერ ვაბამ აკავანთო
აბა რარიგად ვიცოცხლოდე
შვილი რო ჭალას დამიგორდეს“.

ფშავში დღესაც ახსოვთ კარგი მოტირლები: ნინო ქისტაური, მართა წელაური, მართა ღურბელაშვილი და სხვები.

ფშავში მამაკაცი იშვიათად ტირის მიცვალებულს, თუმცა შემორჩენილია მოტირალ კაცთა სახელები: დიდი მიხეილი, ხაზარა და ნიკო ელიზბარაშვილები, ჭრელა უძილაური და სხვები. კაცი ჭირისუფალიც რომ ყოფილიყო - შვილის, ძმადნაფიცის, ან ძმის დაკარგვით დამწუხრებული, სხვა სოფელში გარდაცვლილი ვაჟკაცის დასატირებლად მაინც წავიდოდა, რომ თავისი დარდი ამოეთქვა, თან თავისი მიცვალებულის იარაღი მიჰქონდა, და დატირებისას თავის მიცვალებულსაც „ჩაატირებდა“.

მამაკაცის ტირილის ხმა შემზარავია, „მამა ხვარ ამოგმინდების, კვნესა ხვარ ისმის ხარისა?!“ კითხულობს ერთი ფშაური ლექსი. ფშაველი ეთნოფორი ვალიკო წოწკოლაური დღესაც ემოციურად იხსენებს, თუ როგორ მოთქმით დაიტირა მოსე მგელაშვილმა თავისი ცოლი.

2019 წელს ჩემს ფოლკლორულ ექსპედიციაში, სოფ. შუაფხოში მივაკვლიე ხმით ნატირალს - დანიშნულის ტირილს, რომელიც მართა ჩოხელაშვილს ეკუთვნის, მე კი თეკლე ბადრიშვილმა ჩამაწერინა. მანვე მიამბო ასეთი ისტორია: დანიშნულ ქალს, მართას, რჯული დაურღვევია და საქმროს დასატირებლად არაგვის ფშავიდან ივრის ფშავში მარტო წასულა, თან ჯვრისწერისთვის განკუთვნილი გვირგვინები წაუღია, საქმროს სახლში მზის ამოსვლისას მიუღწევია, მისვლისთანავე ტირილი დაუწყია:

„მოიდა მზე და მოვყევ მენცა,
დედაო განა დედამთილო,
ურჯულო რჯული გავარჯულე,
უნეფოდ მუელ ბატარძალი,
კარჩიაც აღარ მამეგება
ჩოხა მოვართვი ორშიანი.
აბა სადა გყავს ლამაზ შვილი
ცხენ-უნაგირი ჩავაბარო“.

მერე ამოუღია გვირგვინები, ერთი თვითონ დაუხურავს, მეორე გარდაცვლილისთვის დაუფარებია, სიკვდილამდე ერთგულება შეუფიცავს და ამ ფიცის ერთგული დარჩენილა სიცოცხლის ბოლომდე.

ხმით დატირების ტრადიცია დღესაც ცოცხალია ფშავში. თითზე ჩამოსათვლელი მოტირლებიდან აღსანიშნავია: სანათა მაჩური-შვილი და თამარ გორზამაული. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება, როგორ დაიტირა სანათამ ცნობილი ფოლკლორისტი ტრისტან მახაური ფშავში, სოფელ მაღაროსკარში, 2018 წელს.

ფშაური „ხმით ნატირლები“ სამგლოვიარო პოეზიის მნიშვნელოვანი ჟანრია, რომელსაც 2020 წელს, ფშაურ კაფიასთან ერთად, არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა

იმედს ვიტოვებ, კიდევ დიდხანს იარსებებს ფშაურ ყოფაში მიცვალებულთა პატივისცემის ეს ძირძველი და უნიკალური ფოლკლორული ტრადიცია.

ნინო ნაყეური
გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი

ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ფოლკლორი

ადიღური ხალხური მუსიკა

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა - აფხაზების, ადიღელების, ბალყარელების, ვაინახების, დაღესტნელების, ოსების - ეთნოკულტურული ურთიერთობების კვლევა ეთნოგრაფიული და ხალხური მუსიკალური კულტურის მონაცემთა საფუძველზე მრავალმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, რაც, უთუოდ დააინტერესებს ჩვენს როგორც ქართველ, ისე უცხოელ ეთნომუსიკოლოგებს, ეთნოლოგებს, მუსიკოს-შემსრულებლებს და კავკასიოლოგიით დაინტერესებულ მკვლევრებს. ამიტომ, ჩვენს ბიულეტენში შემოვიტანეთ ახალი რუბრიკა „ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ფოლკლორი“. ბიულეტენის ამ ნომერში გთავაზობთ ***ადიღური*** *ხალხური მუსიკის მიმოხილვას.*

ადიღურ ხალხურ მუსიკას სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ა. ბალაკირევი, ს. ტანეევი, მ. გნესინი, ა. გრებნევი, ლ. ყანჩაველი, გ. ჩიჩი. მრავალტომიან გამოცემაში „ადიღების ხალხური სიმღერები და საკრავიერი ჰანგები“ თავმოყრილია ადიღური დიალექტების (შაფსუღური, ბჟედუხური, ყაბარდოული და ჩერქეზული) ხალხური მუსიკის მრავალი ნიმუში.

ადიღელთა ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის ძირითადი ტიპი ბურდონულია. ორხმიან სიმღერათა უმრავლესობა მომღერალ-სოლისტის მიერ სრულდება უნისონური გუნდის ფონზე. თუმცა, გვაქვს სამხმიანი სიმღერებიც, რომელშიც მონაწილეობს მომღერალი დამწყები, გუნდი და საკრავი, რომლის პარტია, მომღერლისა და გუნდის პარტიებთან შედარებით, უფრო განვითარებულია.

ადიღური ხალხური მუსიკის თავისებურებას წარმოდგენს დიატონურობა და ბუნებრივი მაჟორ-მინორი. ჰარმონიული მინორი, რომელიც უფრო ხშირად ინსტრუმენტულ მუსიკაში გვხვდება, ადიღური მუსიკისათვის დამახასიათებლად არ ითვლება. ჰარმონია დაფუძნებულია ტონიკა-დომინანტურ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაზე.

ადიღური სიმებიანი საკრავი *შიჭაფშინი*

ადიღური სიმღერების ჟანრული კლასიფიკაცია ასეთია: შრომის სიმღერები, საწესო და საოჯახო სიმღერები, სამკურნალო სიმღერა-შელოცვები, ისტორიულ-საგმირო სიმღერები, „ნართული სიმღერები“. ეს უკანასკნელნი ადიღური მუსიკალური ფოლკლორის სოლიდურ ნაწილს შეადგენს და „ნართული ეპოსითაა“ ნასაზრდოები. ასე უწოდებენ კავკასიის ხალხთა ეპოსს, რომელიც აქაური ტრადიციული ხალხური შემოქმედების უძველეს პლასტს განეკუთვნება. ტერმინი „ნართი“ ეპოსის გმირების საერთო სახელწოდებაა, რომლებიც თავისებურ დასს ქმნიან. ნართული ეპოსი მითოლოგიური მოტივებით მდიდარი საგმირო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია. იგი კომპოზიციურად შეკრულ და მყარი სტრუქტურის მქონე მრავალსიუჟეტიან თხრობით ჟანრს წარმოადგენს, რომელიც პოეტური და პროზაული ტექსტებით გადმოგვცემს პერსონაჟთა საგმირო თავგადასავალს.

ჩრდილოკავკასიური და, მათ შორის, ადიღური სიმღერების დიდი ნაწილი სწორედ ნართული ეპოსითაა შთაგონებული. ადიღურ ყოფაში ნართული თქმულებები სასიმღერო

(„ნართ ფშინალა“) და პროზაული („ნართ ხაბარ“) ფორმით შემოინახა. ნართული სიმღერები „ფშინატლი“ სრულდება, როგორც საკრავის თანხლებით, ისე მის გარეშეც - დამწყებისა და გუნდის მიერ, დამწყები პოეტურ ტექსტს ასრულებს, გუნდი კი ყოველი კუპლეტის შემდეგ გლოსოლალიებზე („უა“, „რისა“, „ორირარა“ და ა.შ.) აგებული მისამღერით პასუხობს.

ადიღური ჩასაბერი საკრავი *კამილი*

გ. ჩიჩი გვაძლევს ნართული და ისტორიულ-საგმირო სიმღერების შედარებას მუსიკალური გამომსახველობის მხრივ. ავტორის დაკვირვებით, ნართული სიმღერებისთვის დამახასიათებელია რეჩიტატიულობა, დეკლამაციურობა, მოკლე მუსიკალური ნაგებობები, მელოდიის ოსტინატურობა, გუნდის თანხლება, ხოლო ისტორიულ-საგმირო ჟანრის სიმღერებისათვის - მელოდიის სიფართოვე, მაღალი ტესიტურა, დიდი ნახტომები (სექსტა, სეპტიმა, რომელიც შემდეგ ივსება), სოლისტის დაძაბული მუსიკალური რეჩიტატივი და გუნდის თანხლება უნისონურად, კვარტით ან, უფრო ხშირად, კვინტით, საგუნდო თანხლების ოსტინატურობა. გარდა ამისა, ისტორიულ და საგმირო სიმღერებისათვის დამახასიათებელია ვაჟთა გუნდის სიმღერა დამწყები მომღერალ-მთქმელის ფონზე, რომლის როლსაც ზოგჯერ ხალხური საკრავები ასრულებენ. ადიღური ისტორიული და საგმირო სიმღერების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად ითვლება მათში კვარტული ინტონაციების სიჭარბე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუსიკალურ-ინტონაციურ წყობაში. ჩიჩის დაკვირვებით, ადიღური ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელია მელოდიურ-ორნამენტული ვარირების პრინციპი. ორნამენტულობა ხშირია ვოკალურ მუსიკაში, მაგრამ უფრო მეტად ინსტრუმენტულში ვლინდება.

ადიღური საკრავიერი მუსიკა წარმოდგენილია ჩასაბერი, სიმებიან-ხემიანი და საჩხარუნებელი საკრავებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადიღურ ტრადიციულ მუსიკაში წამყვანი ვოკალური მუსიკაა, ინსტრუმენტის როლი ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრში არის გამოკვეთილი.

სალამურისებრი ჩასაბერი საკრავი *გჟამი* უკავშირდება მწყემსურ ყოფას და მასზე მწყემსური ჰანგები სრულდება. *გჟამის* საკმაოდ განვითარებული მელოდიისთვის დამახასიათებელია ტრელები, რიტმული სირთულე და მეტრული ცვალებადობა. ხალხის დაკვირვებით, მასზე დაკვრა ცხვარზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. არსებობდა ჰანგი, რომელიც სრულდებოდა ღამით ფარის დაბინავების შემდეგ. ცნობილია *გჟამზე* შესასრულებელი „ტირილი წყალზე“, რომელიც უძველესი წარმოშობის ჩვეულებებაში - დამხრჩვალის გვამის მოსაძებნი რიტუალის დროს სრულდებოდა. ესაა ცალფა მელოდია, რომელიც შედგება რამდენიმე მარტივი ფრაზისაგან (ფრაზები ვარირებულად მეორდება). ახასიათებს ცვლადი მეტრი და რთული, მკვეთრი რიტმი.

შიჭაფშინი ადიღური სიმებიან-ხემიანი საკრავია, რომელიც მრავალი ჟანრის სიმღერის აკომპანიმენტად გამოიყენება. მისი თანხლებით სრულდება შრომასთან დაკავშირებული ცალფა სიმღერები: „დათვის თავი“, „ურმული“, „ყაბარდოული“. ამ უკანასკნელში საკრავის პარტია ხან უნისონში მიჰყვება სიმღერას, ხან კი ორხმიანია - ბანი ვოკალური

პარტიის ინსტრუმენტული ტრანსკრიპციის ფონზე; რიტმულად განვითარებულია და ხასიათდება კვარტული თანახმოვანებებით ფრაზების დასაწყისში და ბოლოს.

ადიღურის ტიპური ნიმუშია სიმღერა „წმინდა გიორგი“. ესაა სიმღერა-მიმართვა ნადირობის მფარველისადმი *შიჭაფშინის* თანხლებით. სიმღერა ორხმიანია. საკრავი ერთვება გუნდთან ერთად და უნისონურად მიყვება მას.

ნართული სიმღერებიც *შიჭაფშინის* თანხლებით სრულდება. ეს სიმღერები, როგორც წესი, ორხმიანია (დამწყები და გუნდი). გუნდი უნისონურია და აგებულია ოსტინატურ ფიგურაციაზე. *შიჭაფშინის* პარტიაც ცალხმიანია და იმეორებს გუნდის პარტიას.

შიჭაფშინზე სრულდება საცეკვაო – „ნართების ცეკვა“. ამ დასაკრავის „ყაბარდოული ვერსია“ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ჰანგი ორხმიანია. ყურადღებას იქცევს ხშირი ნახტომები პარალელური კვარტებით.

ადიღური სიმღერა, რომელიც *შიჭაფშინის* თანხლებით სრულდება, იწყება ინსტრუმენტული შესავალით, ჩაერთვის გუნდი, შემდეგ - სოლისტი. შესავალში გადმოცემულია ის მუსიკალური მასალა, რაც მეორდება აკომპანიმენტში ვოკალური პარტიის ჩართვის შემდეგაც, ინსტრუმენტული შესავლის ფრაზა, ფაქტობრივად საფუძვლად უდევს მთელი სიმღერის აკომპანიმენტს. შეიძლება ის ვარირებულადაც მეორდებოდეს. სიმღერის ინსტრუმენტული პრელუდია, ინტერლუდია და პოსტლუდია, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მუსიკალური მასალაა. ხშირად აკომპანიმენტი ხაზს უსვამს ჰარმონიულ საყრდენს, განსაკუთრებით ტონიკას, ასევე - კვარტულ თანახმოვანებას. *შიჭაფშინი* კონტრაპუნქტულად ერწყმის ბანისა და დამწყების პარტიებს.

ადიღელებს, ქართველების მსგავსად, ძალიან უყვართ გარმონი, რომლის ადგილობრივ ნაირსახეობას *ფშინს* უწოდებენ. ის ძირითადად საქორწილო წეს-ჩვეულებებში ჩნდება. კერძოდ, მასზე სრულდება „პატარძლის გამოყვანის ჰანგი“ (გარმონის დასაკრავი პატარძლის სასიძოს მშობლების სახლში შეყვანის დროს). ამ დროს საგარმონე მელოდია ჟღერს საჩხარუნებელი საკრავის, *ფხაჩიჩ*-ის ფონზე. საჩხარუნებელი ასრულებს რიტმულად თანაბარი გრძლიობებით მოძრაობას, გარმონის პარტია კი ცალფა მელოდიაა, რომელშიც დომინირებს კვარტული ნახტომები.

ფხაჩიჩი - ტრადიციული ჩერქეზული ადიღური ხის საჩხარუნებელი საკრავია, ხის 5 ფირფიტის აცმას წარმოადგენს და იკვრება, როგორც ცალი ხელით (ერთი საკრავის შემთხვევაში), ისე - ორივე ხელით (წყვილის შემთხვევაში), ჩასაბერთან (*კამილი*), სიმებიანთან *(ფხაჩიჩი)* ან გარმონთან ანსამბლში.

ადიღეში ჩასაბერი საკრავებიც იყო გავრცელებული: *კამილი, სირინი* და *ბჟემი.* მათ შორის *კამილი* ყველაზე პოპულარული ყოფილა. *ფშინის* გამოჩენამდე ჩერქეზული საცეკვაო მელოდიები *კამილზე* სრულდებოდა. ამ საკრავს ამშვენებდნენ ხავერდით, ტყავით, მის ბოლოებს კი ვერცხლით აწყობდნენ. კამილი არქაული საკრავია და მას ჩერქეზები ჯადოსნურ თვისებებს მიაწერდნენ იდუმალი, შთამაგონებელი ტემბრის გამო.

ადიღეური საჩხარუნებელი საკრავი *ფხაჩიჩი*

ოსტინატურობა დამახასიათებელია არა მარტო გუნდის პარტიისთვის სიმღერაში, არამედ აკომპანემენტის პარტისათვისაც - მისი ერთტაქტიანი ოსტინატური ფრაზა მეორდება მთელი სიმღერის მანძილზე. სიმღერათა უმე-

ტესობაში არის ორწილადი მეტრი (4/4, 4/2, 2/4). რიტმი მრავალფეროვანია: გვაქვს სინკოპები, ტრიოლები, კვინტოლები, პუნქტირებული რიტმი. ხშირია რიტმული მიმოქცევა - მერვედი ორი მეთექვსმეტედით, რაც ძალიან დამახასიათებელია ქართული ჩონგურისა და ფანდურისათვის. სიმღერები კუპლეტურია, კუპლეტი გადმოცემულია ფრაზის ან წინადადების ფორმით. არის შემთხვევა, როდესაც წინადადება ორი ფრაზითაა წარმოდგენილი, რომელიც მონაცვლეობით სოლისტისა და გუნდის მიერ სრულდება.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ადიღური ნიმუში აფხაზურთან ინტონაციურ და რიტმულ მსგავსებას ამჟღავნებს. მსგავსია უნისონური და ცალფა აკომპანირების ტრადიციაც. ნ. მაისურაძემ გაარკვია ადიღური სიმღერების ცალკეული ნიმუშების უშუალო კავშირი ქართულ სიმღერებთან. გ. ჩიჩი ადიღურ მუსიკაში ორნამენტიკის სიმდიდრეზე მიუთითებს, განსაკუთრებით გარმონის პარტიაში, რაც თუშურთან სიახლოვეზე მეტყველებს. სახეზეა ადიღური ფოლკლორის ოსურთან მსგავსებაც, რაც პირველ რიგში გამოიხატება ნართულ სიმღერებში, მათი შესრულების წესსა და მანერაში (დაწყება დაძაბული ხმით მაღალ რეგისტრში), გუნდის თანხლებაში. მსგავსია ასევე კვარტული ინტონაციების სიჭარბეც.

ადიღურ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში წმინდა საკრავიერი მუსიკა შედარებით ნაკლებად არის განვითარებული. ასეთი ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ეოლიური, ფრიგიული, მიქსოლიდიური კილოები. ხშირ შემთხვევაში კილო არასრულია (არ ჩანს სეკუნდური ბგერა). სიმებიანი საკრავის ჰანგები, როგორც წესი, ორხმიანია, პარალელური კვარტებით. ზოგ შემთხვევაში, ეპიზოდურად გვხვდება ერთ და ორხმიანობის შერწყმა. მაგ.: ქვედა ხმა პერიოდულად ეთიშება და ჩაერთვება იქ, სადაც კვარტის ან კვინტის თანახმოვანების წარმოქმნის საშუალებაა. ზედა ხმა მოძრავია, დამახასიათებელია ტერციული სვლა კადანსში. ეს უკანასკნელი გარმონზე შესრულებულ საცეკვაოებსაც ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ საცეკვაო მასზე ცალფა მელოდიის სახითაც სრულდება. ჩასაბერი საკრავების ჰანგებისათვის დამახასიათებელია ცვალებადი მეტრი. საცეკვაო ჰანგების მეტრი ორწილადია, ფორმა კი - მრავალგზის განმეორებადი ვარირებული წინადადება.

მასალა მომზადებულია **მაკა ხარძიანის** *მიერ*
წიგნიდან: მ. შილაკაძე.
„ტრადიციული სამუსიკო საკრავები და
ქართულ-ჩრდილოკავკასიური
ეთნოკულტურული ურთიერთობანი“
თბილისი, 2007

ერთი ახალი გამოცემა

გიორგი სვანიძე
„ქართლური სიმღერები“

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა 2021 წლის ბოლოს გამოსცა გიორგი სვანიძის ანთოლოგიური კრებული - „ქართლური ხალხური სიმღერები“. გიორგი სვანიძე იყო კომპოზიტორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ექიმი, ინჟინერი, ქართული (ქართლური) სიმღერების შემკრები, ქართული საბავშვო ოპერის ფუძემდებელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (მაშინდელი ხალხური შემოქმედების სახლის) მუსიკალური სექციის მდივანი.

ეთნომუსიკოლოგთათვის განსაკუთრებით ძვირფასია სვანიძე როგორც ფოლკლორისტი – ხალხური სიმღერებისა და ზეპირსიტყვიერების შემკრები და გადამრჩენელი: მან ჩაიწერა 100-მდე ხალხური სიმღერის სხვადასხვა ვარიანტი, სინკრეტულობის სრული დაცვით აღწერა, გადმოსცა და შთამომავლობას შემოუნახა მაშინდელ ყოფაში

ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილი ეთნომუსიკის თეატრის დანაშრევები, რეალურად შეგვაგრძნობინა ქართლური სიმღერის ბუნებრივი გარემო და წეს-ჩვეულება.



ახალი გამოცემა

1957 წელს გამოიცა გ. სვანიძის წიგნი ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, რომელსაც თქმულებებთან ერთად რამდენიმე ხალხური სიმღერის სანოტო ვერსიაც ჰქონდა დართული, თუმცა ეს სრულყოფილად არ ასახავდა თქმულებებში გადმოცემული სიმღერების მუსიკალურ მხარეს. სწორედ ამ დანაკლისის შესავსებად გადაწყვიტა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მის არქივში დაცული, გ. სვანიძის სანოტო ხელნაწერების გამოცემა. შედეგად, 1957 წელს გამოქვეყნებულ სიმღერებს დაემატა 60-მდე სრულიად უნიკალური სასიმღერო ნიმუში თუ ნაცნობი სიმღერის უცნობი ვარიანტი. ამგვარად, კრებულმა სამზეოზე გამოიტანა ხალხის მეხსიერებაში შემონახული და თითქმის ასი წლის წინ ჩაწერილი უნიკალური ქართლური სიმღერები, რომელთა უმრავლესობა დღეს აღარც ყოფაში გვხვდება და არც სცენაზე სრულდება. ისიც მნიშვნელოვანია, რომ უმეტესი სოფლები, სადაც ეს სიმღერებია ჩაწერილი, დღესდღეობით რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა...

კრებულში, გამოცემულ და გამოუცემელ სანოტო ნიმუშებსა და თქმულებებთან ერთად, პირველად ქვეყნდება გიორგი სვანიძის სრული ბიოგრაფია, 1916-1950 წლებში ქართლში მცხოვრებ ეთნოფორთა სახელები, იბეჭდება დოკუმენტურად დაზუსტებული სხვადასხვა ინფორმაცია თუ საგულისხმო ცნობა, სტატია თუ წერილი, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივსა და სხვადასხვა პირად კოლექციაში იყო გაბნეული.

კრებულის შემდგენლები გახლავთ თეა კასაბური და ნანა ვალიშვილი, მუსიკალური რედაქტორები - ნანა ვალიშვილი და ლევან ვეშაპიძე, ლიტერატურული რედაქტორი - ბაია ასიეშილი, დამკაბადონებელი - ლევან ვეშაპიძე, დიზაინერი - ნიკოლოზ გოგაშვილი, მთარგმნელი - მაია კაჭკაჭიშვილი; არქივებში დაცული დოკუმენტები და პუბლიკაციები მოიძია თეა კასაბურმა, ფოლკლორის ცენტრის საარქივო მასალები დაამუშავა ნანა კალანდაძემ.

გამოცემა ეძღვნება გიორგი სვანიძის დაბადებიდან 130 წლისთავს.

ერთი სიმღერის ისტორია

ქართლური ორსართულიანი ფერხული „ზე-მყრელო“

ამ სიმღერის ტექსტი გიორგი სვანიძეს ჩაუწერია 1916 წელს, ქართლში, სოფელ ტყვიავში, გლახა ძამელაშვილის ოჯახში. თქმულება კი - იმავე წელს, დაბა ცხინვალში, დიმიტრი ჯაფარიძისგან. გთავაზობთ ნაწყვეტს გიორგი სვანიძის წიგნიდან „ქართლური ხალხური სიმღერები“.

„ზე-მყრელოს“ ტექსტი მეტად არქაულია. მისი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს ფერხული წარმოშობით საწესო ხასიათისა უნდა ყოფილიყო. სვანური „მურყვამობის“ – „კოშკობის“ მსგავსად, ეს ორსართულიანი ფერხული გაზაფხულის ნაყოფიერების დღესასწაულის ციკლს ეკუთვნის. ამას უნდა მოწმობდეს ქერისა და პურის თხოვნა, მუდარა იმისა, რომ „ზე-მყრელო“ „მალე ამოვიდეს“ და

ზიანი არ მიაყენოს, ტექსტში „საფრის კედლის“ ხსენება და სხვა.

„ზე-მყრელო“, სხვა საფერხულოებთან შედარებით, ნაკლებ მონაწილეთ თხოულობს, რადგან იგი ორსართულიანია.

ძირს მყოფთ, ხელიხელთ გადახვეულთ დიდი ღონე ესაჭიროებათ და მუხლების გამძლეობა, რათა ზემდგომნი შეიმაგრონ და თანაც იმოძრაონ, სანამ სიმღერა არ დამთავრდება. წამყვანი (ქვემდგომთაგანი) დაიწყებს ერთგვარი შესავლით. მას მიჰყვება მთლიანად ძირს მდგომი ჯგუფი. ძირს მყოფნი რომ მორჩებიან, მათ მხრებზე მდგომნი, ანუ „ზე-მყრელნი“, ჩამოართმევენ კილოს - იმეორებენ ძირს მყოფთა ნამღერს. ბოლოს, როცა დაბლა მდგომთ მოესურვებათ, ანიშნებენ ზემდგომთ მოძრაობის შენელებით და შეერთებული ძალით ამთავრებენ კიდეც ფერხულს.

„ზე-მყრელოს“ ქართლის ყველა სოფელში ერთნაირად არ ასრულებენ. ამიტომ ტექსტიც სხვადასხვაა.

ერთ-ერთი ლექსი ასეთია:

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
ძირსა (და) ჩამოსაყრელო,
თუ ჩამოხვალ (და) ჩამოდი,
თუ არა - ძალით ჩამოგყრით.
ვარალე ბიჭო, ვარალე,
ვარის ვარალი, ვარალე!

ზემოდან ჩამოსძახებენ:

ქვე-მყრელო, ქვე-მყრელო,
ზევით (და) ამოსაყრელო,
თუ ამოხვალ და ამოდი,
თუ არა წრიდან გამოდი.
ვარალე, ბიჭო...

ისევ ქვევიდან შეუმღერებენ:

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
არ მოგვაყენო ზიანი.
არ მოგვცე ქერი და პური _
ორივე ნაკმაზიანი!
ვარალე, ბიჭო...

ზევიდან ჩამოუკივლებენ:

მკათათვეს პურის ხვავზედა
თოვლის ზღმურდლები ეყარა,
მაგრამ მზის სხივებს ცხოველსა
წუთიერ გადაეყარა!
ვარალე, ბიჭო...
როცა სურთ გათავება, დამწყები იტყვის:
გვეყოფა ლხინი-ფერხული
„ზე-მყრელო“ შემოკლებული;
ეხლა კი მუხლს ქარი მივცეთ,
უკვეა შეშუპებული.
ვარალე, ბიჭო...

„ზე-მყრელოს“ ამ ვარიანტის შესახებ შემდეგი მიამბეს: ერთ დროს ზაფხულში, გახურებულ კალოობას, მოსულა თოვლი. ქართლის სოფლები, ფცა და ტკოცა, თეთრად იყო თურმე გადაპენტილი თოვლისაგან. ხალხი შიშის ზარს აუტანია, ეკლესიაში ზარის რეკვა აუტეხნიათ. ტირილი მთელ სოფელს მოედო. შიშმა შეიპყრო მთელი გლეხობა. ამ დროს თოვლი თანდათან დნებოდა. სამხრობაზე უფრო ადრე, გახურებული ლეწვა გაუჩაღებიათ, საღამოზე შეუდგნენ განიავებასაცაო. ამ მოვლენის შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ ხალხი რამდენიმე თვე თავის ჭკუაზე არ იყოო. ეს გადმოცემა დეიდისაგან გაუგონია ცხინვალელ დიმიტრი ჯაფარიძეს.

დიმიტრის ჰყავდა ამხანაგად ერთი მდევისებური, არაჩვეულებრივი ზორბა ტანის მოხუცებული მედუქნე, ძალზე ბევრის მსმელ-მჭამელი, რის გამოც მას მეტსახელად „ბელტიყლაპიას“ ეძახდნენ. ეს ბელტიყლაპია თარზე კარგი დამკვრელი ყოფილა ერთ დროს. თარი თავის სასადილო დახლში ეკიდა და, თუ ვინმე საპატივცემლო მუშტარი მოვიდოდა მასთან დროს გასატარებლად, მიხეილი (ბელტიყლაპიას ნამდვილი სახელი იყო), მხოლოდ მაშინ ჩამოიღებდა თავის თარსა და ჩახლეჩილი ხმით ცოტა ხნობით დაუკრავდა-დამღერდა. მიუხედავად ხმის უქონლობისა, იმასთან მაინც ბევრი ხალხი იყრიდა თავს. მიმზიდველი სიტყვა-პასუხი ხელს უწყობდა ამ ორ მდევს. „ბელტიყლაპიაც“, როგორც მისი უფროსი ამხანაგი დიმიტრი ჯაფარიძე, ძველი

ამბების ბოხჩა იყო. დიმიტრიმ რომ დაასრულა ამბავი, ჩვენ შევეკითხეთ ამ მოხუცს - მიხეილს, თუ იცის ან თუ გაუგონია რამე „ზემყრელოს“ შესახებ. მან გრძელი წვერი გაისწორა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და ცოტა დაფიქრების შემდეგ დაიწყო: „ზე-მყრელოს“ ზოგჯერ ამასაც უმატებდნენ:

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
კედელი გაკრავს საფრისა;
რად გინდა ფარი და ხმალი,
იმედი ჩანასაფრისა!...
ვარალე, ბიჭო...

„ზე-მყრელოში“ ზოგჯერ ჩაურთავდნენ „საპროტესტოს“ (მისი სიტყვებია), საიდანაც ჩანს უწინდელი გლეხკაცის გაჭირვება, შევიწროება ბატონის მიერ, უსამართლობა, მონობა. „ზე მყრელოში“, - განაგრძობს მთქმელი, - გლეხი სიმღერის დროს ჩაურთავდა სხვადასხვა აზრის ლექსს. თუ გლეხის ახლომახლო არავინ გამოჩნდება ბატონის ერთგული - „ბატონის ძაღლი“, მაშინ გლეხი გულის მოსაფხანად ასეთ ლექსს ჩაურთავდა „ზე-მყრელოს“ ფერხულში:

გინდაც მოვიდეს თავთუხი,
შვინდმარცვალა და ფხიანი,
გინდაც დაგვიდგეს დღეები
კალოსთვის ნათელ-მზიანი,
თავანკარი სხვას ერგება,
ჩვენ დაგვრჩეს ნაკმაზიანი,
იმათ მიირთვან შავ ფხაი,
გლეხმა კი ნაგავ-ბზიანი.
ვარალე, ბიჭო...

გთავაზობთ სიმღერა „ზემყრელოს“ გიორგი სვანიძის მიერ სოფ. ტყვიავში 1916 წელს ჩაწერილ ნიმუშს.

ზე-მყრელო
Ze-mqrelo







ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
ძირსა და ჩამოსაყრელო,
თუ ჩამოხვალ და ჩამოდი,
თუ არა, ძალით ჩამოგყრი.

ze-mqrelo, ze-mqrelo,
dzirsa da chamosaqrelo,
tu chamokhval da chamodi,
tu ara, dzalit chamogqri.

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი
ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის სპეციალისტი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2022

eISSN–1512 – 228X
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10
ტელ. (+995 32) 2998953
E–mail: polyphony@conservatoire.edu.ge
www.polyphony.ge
www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2022 წლის დეკემბერში